



ციბეხანი

№ 34 / 7 - 13 ივნისი / 2010

პოლიტიკური წყაღბამყოფი **გვ. 17**

აბსოლუტური ძალაუფლება **გვ. 24**

ოპოზიციის საკრებულოები **გვ. 19**

ორი აზრი: ობამას საბარემო პოლიტიკა **გვ. 12**

ქურნალისტური გამოქიბა: ოჯახური დავა **გვ. 26**

ეკონომიკა: უმოქმედოების წმინდა დანაკარგები **გვ. 29**

დაუსრულებელი ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელში **გვ. 31**

დავით ბუხრიკიძე: ჩვენი პასუხი ჩამბერლენს **გვ. 33**

გიომ სვლედიანი: ჰოდა, აფრიკაში ჩავდივით **გვ. 38**

ISSN 1987-7528



ფასი 2 ლარი



ხატომ აჩის ოპოზიციის სუსტი

გვ. 14

**ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე,
რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ
„დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად
31 მაისი-4 ივნისის კვირის რეჟიმი**



„ალიანსმა ხელი შეუწყო სამომავლოდ იმ შედეგის დადგომას, რის წინააღმდეგაც ყველაზე მეტად ვილაშქრებდით – პროცესის ქუჩაში გადანაცვლებას, ე.წ. ბიშკეკიზაციას. თუ ხელისუფლებისთვის დარტყმის მიყენება გვინდოდა, 1 თვის წინ ის თავის სატელიტ პარტიებთან მარტო უნდა დაგვეტოვებინა არჩევნებში. ახლა კი რეჟიმის ლეგიტიმაციას შევუწყვეთ ხელი“.

ორშაბათი, 31 მაისი, რადიოქალაქი FM 101.9
სოზარ სუბარო, „ალიანსი საქართველოსთვის“ ყოფილი თანათამაშდომარე



„ჯერჯერობით არ გვაქვს საფუძველი, რომ თვითმმართველობის არჩევნებს დემოკრატიული ვუნოდეთ. არჩევნების ბედი არ წყდება მხოლოდ არჩევნების დღეს. წინასაარჩევნო პერიოდი კი ნამდვილად არ ქმნიდა თანაბარ პირობებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის“.

სამშაბათი, 1 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
თამარ ხიდაშელი, „ახალგაზრდა ოპოზიციის ასოციაციის“
თანათამაშდომარე



„მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი დამკვირვებლების თვალთ არჩევნებმა ჩაიარა მშვიდად და საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთს არ დავერიეთ კეტებით და იარაღით, ეს არ შეიძლება იყოს არჩევნების შეფასების მთავარი კრიტერიუმი. ახლა მნიშვნელოვანია პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, რათა მეტ-ნაკლებად აღდგეს პოლიტიკური ბალანსი ქვეყანაში“.

ოთხშაბათი, 2 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
გიორგი თარგამაძე, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“



„ის, რომ არჩევნები ტარდება მშვიდ გარემოში, განსაკუთრებული ექსცესების გარეშე, დემოკრატიულობის ერთერთი ფაქტორია. მეტიში მომხდარი ინციდენტი არასასიამოვნოა, თუმცა ის ვერ მოახდენდა გავლენას არჩევნების შედეგზე. ზაზა გოროზიას კი შეეზღუდა ზენოლის განხორციელების შესაძლებლობა, ის გაუშვეს შევსებულბაში“.

ხუთშაბათი, 3 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ზვიად კუკავა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“



„ალიანსის დამარცხება იყო პროგნოზირებადი. თუ იბრძვი ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, არ უნდა გააკეთო დესტრუქციული განცხადება – „ყველა მინუს ნოლაიდელი“. ვითანამშრომლებ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც თვლიან, რომ რეჟიმის დასამარცხებლად აუცილებელია ერთობა“.

პარასკევი, 4 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
კოკა გუნცაძე, „დაიცავი საქართველო“



რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977




ფოტო: თეიმურაზ ბარბაქაძე

ნომერში:

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 10 **მედიამონიტორინგი**
ორმაგი არჩევანი
- 12 **ორი აზრი**
რაციონალურია თუ არა ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა?
ფარიდ ზაქარია vs ჩარლზ კრაუტჰამერი
- 14 **თვალსაზრისი**
რატომ არის ოპოზიცია სუსტი
მარკ მალენი
- 16 **ინტერვიუ**
ლოკალური არჩევანი
ლუის ნავარო
პოლიტიკა
- 17 პოლიტიკური
წყალგამყოფი

- 19 **ოპოზიცია საკრებულოში**
როგორც მინიმუმ, ფეხბურთის გუნდი
- 21 **საარჩევნო დარღვევები**
დიპლომატიური შეფასება
- 23 **თვალსაზრისი**
არჩევნები 2010 – რაუნდი ოთხი
ეკა სირაძე-დელიონე
საუბრები ლიბერალიზმზე
- 24 აბსოლუტური ძალაუფლება



ჟურნალისტური გამოძიება

- 26 ოჯახური
დავა

- ეკონომიკა**
- 29 უმოქმედობის წმინდა დანაკარგები
საზოგადოება
- 31 დაუსრულებელი ცვლილებები
კულტურა
- 33 ჩვენი პასუხი ჩემბერლენს
წიგნები
- 35 ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი
- 37 **თვალსაზრისი**
ევროპული პოლიტიკა
ლაშა ბუღაძე
სპორტი
- 38 ჰოდა, აფრიკაში ჩავედით
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 40 ავადარი ანუ YUCK FOU

ბარეკანზე:

რატომ არის ოპოზიცია სუსტი
ფოტო: მარია ქოჩიაშვილი



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



სოფო ბუკია
კავკასიისა და კონფლიქტების
განყოფილების რედაქტორი
sopho.bukia@liberali.ge

ბრიტანული „ეკონომისტი“ ასე იწყებს საქართველოს თვითმმართველობის არჩევნების შესახებ სტატიას: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც 5 მილიონზე ნაკლებია, იშვიათად ხვდება უცხოური მედიის და საერთაშორისო დამკვირვებლების ყურადღების ცენტრში. მაგრამ, თუ რომელიმე არჩევნები შეიძლება ჩავთვალოთ გამოწვევად, ეს არის არჩევნები საქართველოში – ქვეყანაში, სადაც 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, 2008 წელს რუსეთთან ომი, და დღემდე ეს ქვეყანა წინა-ღობად რჩება რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში. ეს კენჭისყრა იყო საქართველოს პოლიტიკური ტემპერატურის ტესტი, პრეზიდენტ სააკაშვილის ნდობის რეფერენდუმი და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების რეპეტიცია“.

სწორედ ამის გამო იყო ჩვენი წინასაარჩევნო ანგარიში მკითხველთან ასეთი სკრუპულოზური.

ჩვენ ვწერდით, როგორ იყენებდა ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს, როგორ აშუქებდა მედია წინასაარჩევნო პერიოდს, რა სუსტი და არათანმიმდევრული იყო ოპოზიცია; ვწერდით ბიბლიოთეკებში გახსნილ საარჩევნო შტაბებზე, იმაზე, თუ როგორ აისახა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემები კანდიდატთა პროგრამაში, სკოლებში გაჩაღებულ საარჩევნო კამპანიაზე.

„ლიბერალის“ მკითხველმა პოლიტიკოსებთან ერთად თავიდან ბოლომდე გაიარა წინასაარჩევნო გზა – გაერო-ს ტრიბუნლიდან, საიდანაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირველად განაცხადა ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ, ხმის დათვლის პროცედურამდე. თუმცა არჩევნების დასრულების შემდეგ იწყება ის, რის გამოც, ყოველ ჯერზე ხელახლა მივდივართ საარჩევნო ყუთთან.

„ლიბერალის“ მომდევნო ნომერში ეკა ჭითანავა თავის რეპორტაჟში ონკოლოგიური საავადმყოფოდან დაწერს: „ცხრასართულიანი, მასიური შენობა ლისის ტბასთან, დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით დგას. შიგნით, დანომრილ პალატებამდე ბნელი ან ნახევრად განათებული დერეფნები უნდა გაიარო. ირგვლივ ჩამოფხეკილი კედლები, იატაკიდან აგლეჯილი ლინოლიუმი, მტვრიანი ფანჯრის მინები, კედლებიდან გამოშვებული გადამწვარი მავთულეები, დატბორილი ტუალეტი, და უსიამოვნო სუნი გხვდება“.

ყველა პოლიტიკოსი, მათ შორის – გამარჯვებულიც, თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ხარისხიან და ხელმისაწვდომ ჯანდაცვას დაგვიპირდა.

რეალურად, მხოლოდ არჩევნების შემდეგ გაირკვევა, რამდენად პრაგმატული და ნარმატებული იყო 2010 წლის 30 მაისს გაკეთებული არჩევანი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი /ალმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი
წარმომადგენელი: მანია ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვალაძე, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე,
ნინო რობაქიძე, იაგო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუხრიკიძე
მონტაჟი: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, კახა თოლორაძე, გიო ახვლედიანი, ლაშა ბულაძე, ლევან ცუცქერიძე
რედაქციის მდიანი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე
გამომცემელი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე /
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი აცხადებს სერტიფიციციკურ კურსს „პროექტების მართვა“



კურსის მიზანი არის მსმენელების თეორიული ცოდნის გაღრმავება და მათი პრაქტიკული უნარების განვითარება. კურსი აგებულია ფართოდ აღიარებულ PMI მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით www.pmi.org. კურსი განკუთვნილია საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერებისთვის.

კურსი შედგება 6 მოდულისგან:

- ▶ პროექტების მართვა - მიმოხილვა (24 საათი) – 16 ივნისიდან 3 ივლისამდე;
- ▶ შინაარსის მართვა (16 საათი) – 7 ივლისიდან 17 ივლისამდე;
- ▶ დროისა და დანახარჯების მართვა (24 საათი) – 15 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე;
- ▶ რისკების მართვა (16 საათი) – 6 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრამდე;
- ▶ ადამიანური რესურსებისა და კომუნიკაციის მართვა (16 საათი) – 20 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე;
- ▶ შესყიდვების მართვა (8 საათი) – 3 ნოემბრიდან 6 ნოემბრამდე;

თითოეულ მოდულზე რეგისტრაცია დაწყებიდან ხუთი დღით ადრე

კურსს გაუძღვება ალექსანდრე ჯეჯელავა, პროექტების მენეჯერი (PMP), მას აქვს 15 წლიანი გამოცდილება მასშტაბური საბანკო, საჯარო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროექტების მენეჯმენტში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. www.jejelava.info.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ პროგრამის კოორდინატორს, ციცი დალაქიშვილს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ბროსეს ქ. #2;

Tel: 93-14-66; 895 11-84-64; www.gipa.ge ; tsitsi@gipa.ge (ელ.ფოსტა).



ობამა BP-ზე ბაზიზებულია

აშშ-ს პრეზიდენტი აცხადებს, რომ BP-მ პირველ ივლისამდე 69 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს. ეს თანხა ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად დაიხარჯება. ამერიკის მთავრობის ამ საქმესთან დაკავშირებული შემდგომი ხარჯების დაფარვაც კომპანიას მოუწევს. ამასობაში BP პრობლემების მოსაგვარებლად მუშაობას განაგრძობს. მეორე ცდის შემდეგ სპეციალისტებმა შეძლეს ნავთობის დაზიანებული მილის გადაკეტვა და მექსიკის ყურეში ავარიული ჭაბურღილიდან მომდინარე ნავთობის შესაჩერებლად დადგმული კოშკის ერთ ადგილას დაფიქსირება. უკეთესი შედეგების მიუხედავად, აშშ-ს სანაპირო

დაცვის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ჯერ კიდევ დროა საჭირო იმის დასადგენად, რამდენად ეფექტურია ეს მეთოდი. თავის მხრივ, BP მზადაა მექსიკის ყურის სანაპიროს ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუშაობა გააგრძელოს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ჭაბურღილის დახშობა ავარიის შედეგების აღმოფხვრის ხანგრძლივი პროცესის მხოლოდ დასაწყისია. პრეზიდენტი ბარაკ ობამა ღიად აცხადებს, რომ BP-ზე ძალიან გაბრაზებულია. მან ამ ამბის გამო რამდენიმე ვიზიტზე გადადო. ავარიის შემდეგ მექსიკის ყურეში 151 ათასამდე ტონა ნავთობი ჩაიღვარა.

"ჯაჯანუს ონლაინის" ახალი ფილიალი

„კავკასუს ონლაინის“ 100-პროცენტური წილის მფლობელი International Online Networks LLC გახდა. როგორც ცნობილია, International Online Networks-ში 50-პროცენტური და 19,94-პროცენტური მფლობელები ასევე უცხოური სანარმოები Nelgado Limited და Growth Master Holdings არიან, ხოლო 30,06 პროცენტს კომპანიის ყოფილი გენერალური დირექტორი მამია სანადირაძე ფლობს. ახლა კომპანიის გენერალური დირექტორი გახდა ადევილია, ხოლო აღმასრულებელი დირექტორი – ლევან ხუნდაძე.

ჰიობესტი მეთიუ ბაიზასი

„ნიჭიერი და საქმისთვის თავდადებული“ – ასე უწოდებენ ბარაკ ობამამ მეთიუ ბრაიზას, როცა მისი აზერბაიჯანში ელჩად დანიშვნის შესახებ განაცხადა. ობამას განწყობას სომხური დიასპორა და სომეხი პოლიტიკოსები არ იზიარებენ და ბრაიზას ბაქოში ელჩად დანიშვნას აპროტესტებენ. სომხური დიასპორის ამერიკული ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ ბრაიზა ვერ შეძლებს ობიექტურად და დაბალანსებულად შეასრულოს თავისი ფუნქცია. სავარაუდოდ, სწორედ ეს ორგანიზაციები გაუწვევენ აშშ-ს სენატში ლობირებას, რომ ამ საკითხის განხილვისას მისი კანდიდატურა მოიხსნას. დიასპორას განსაკუთრებით თურქეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან ბრაიზას მეგობრული ურთიერთობები აწოთებს. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ საკითხის შესახებ ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.



მხვდომობები ბაქოში

გალის რაიონის სოფელ რეფის ადმინისტრაციის უფროსი დიმიტრი კაცია სოფელ პრიმორსკიდან რეფის გზაზე მიმავალ ავტომობილში ჩაცხრილეს. „აფსნიპრესის“ ინფორმაციით, დიმიტრი კაცია სასიკვდილო ჭრილობებისგან გარდაიცვალა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გალის რაიონში ეს უკვე მეორე მკვლელობაა. მანამდე აფხაზი მებრძოლების ავტომანქანას ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ერთი მებრძოლი გარდაიცვალა, ორი კი დაიჭრა. სურგეი ბალაფში აცხადებს, რომ ამ დანაშაულში „ქართული კვალი საკმაოდ ცხადია“. მისი თქმით, ეს ის რეგიონია, სადაც დევნილები დაბრუნდნენ და ტერაქტის ორგანიზატორებს უნდა ესმოდეთ, რომ ასეთმა ფაქტებმა, შესაძლოა, დაძაბულობა გამოიწვიოს.

"საჩინო" ნახაჩხანი

შსს-მ 5 ნარკორეალიზატორი დააკავა, რომლებიც, საქართველოს გავლით, ლათინური ამერიკიდან თურქეთში დიდი ოდენობით კოკაინის ტრანზიტს ახორციელებდნენ. გარდა ამისა, პოლიციის განცხადებით, იმერეთში, ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ეზოში ნაპოვნია მინაში დამარხული 1.7 მილიონი ევრო. შსს-ში აცხადებენ, რომ ეს ნარკოტიკებთან დაკავშირებული უპრეცედენტო მასშტაბის სპეცოპერაცია იყო და ქართულ ბაზარზე ასეთი დიდი ოდენობის კოკაინი პირველად გამოჩნდა. სამინისტროში ამ „ბიზნესის“ მფარველობას ენ. კანონიერ ქურდს, შაქრო კალაშოვს უკავშირებენ. პრეზიდენტის გადამწყვეტილებით, ამოღებული თანხით პირველკლასელთათვის კომპიუტერებს შეიძენენ.

პრეზიდენტი ევროკავშირში

მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით რუმინეთში იმყოფებოდა, სადაც პრეზიდენტი რუმინელ კოლეგასა და რუმინეთის მთავრობის სხვა წევრებს შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ცნობით, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. საუბარი ასევე შეეხო ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებსა და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას. პრეზიდენტმა შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქი კონსტანცა დაათვალიერა. რუმინეთიდან მიხეილ სააკაშვილი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ნიკოლა სარკოზის, საფრანგეთის პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრსაც შეხვდება.



საჩვენებელი შედეგები



2 ირაკლი ალასანი
„ალანის საქართველოსთვის“
19, 05 % (85 861)



3 გიორგი თოფაძე
„თოფაძე-მრეწველები“
5,19 % (23 405)



5 გიორგი შუშელავა
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
55,23 % (248 915)



7 ზვიად კიკვიძე
„ეროვნული საბჭო“
8,31 % (37 434)



10 გიორგი შანტურია
ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება
10,07% (48 220)



14 გიორგი ლაშვილი
პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველო“
0,14 % (633)



18 თამაზ ვაშვილი
პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა“
0,65 % (2 950)



21 ლეონი იაკობიძე
თორთლაძე დემოკრატიული პარტია
0,22 % (988)



25 ნიკოლაშვილი ივანეშვილი
ივანეშვილი - „სახალხო დემოკრატები“
0,51 % (2308)

სიტყვები



„მე არასოდეს მილიარებია არც აფხაზეთი, არც სამხრეთი ოსეთი და არც კოსოვო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ეს არღვევს საერთაშორისო კანონებსა და ნორმებს“.

ვიქტორ იანუკოვიჩი
4 ივნისი, კიევი

„ეს [აშშ-ს პრეზიდენტის პოსტი] საუკეთესო სამსახურია დედამიწაზე“.

ბარაკ ობამა
3 ივნისი, CNN

„რაც შეეხება ოქრუაშვილს, იგი ჩემთვის არ არის დემოკრატიის მამა და ბურჯი, მაგრამ გაიხსენეთ, ჰიტლერის წინააღმდეგ სტალინი და ჩერჩილი ერთად იდგნენ. ერთი როგორი დემოკრატი იყო და მეორე – როგორი ავტოკრატი, კარგად ვიცი“.

სოზარ სუბარი
2 ივნისი, რადიო „პალიტრა“

„ჩვენ რუსი ტურისტები გვჭირდება და არა რუსული ტანკები“.

მიხეილ სააკაშვილი
3 ივნისი, Berliner Zeitung

„მე პატივს ვცემ ყველა იმ მოქალაქის თავისუფალ არჩევანს, ვინც ჩემს ოპონენტს დაუჭირა მხარი. მინდა, მათ იმ დაპირებების ასრულება ვუსურვო, რომელიც უგულავამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს მისცა“.

ირაკლი ალასანი
31 მაისი, თბილისი

ისრაელი და "თავისუფლების ფლოტილია"

„თავისუფლების ფლოტილიის“ დატყვევების გამო ატეხილი სკანდალი ისევ ყურადღების ცენტრში რჩება.

ნათია ახალაშვილი



„თავისუფლების ფლოტილიაზე“ თავდასხმისას გარდაცვლილი 8 ადამიანის დაკრძალვა, თურქეთი ივნისი 2010

„ისრაელი სიკვდილის ანგელოზია“, – ასეთი შეძახილები ისმოდა „თავისუფლების ფლოტილიაზე“ თავდასხმისას გარდაცვლილი 8 ადამიანის დაკრძალვაზე თურქეთში. დაკრძალვას ათასობით თურქი და პალესტინელი დაესწრო.

„თავისუფლების ფლოტილიის“ 6 გემი ისრაელმა მაშინ დააკავა, როცა 10 ათასი ტონა ჰუმანიტარული ტვირთით, სამშენებლო მასალით, 600 პროპალესტინურად განწყობილი აქტივისტითა და ევროპელი და არაბული ქვეყნების უფლებადამცველებით დატვირთული ქარავანი კვიპროსიდან ლაზასკენ მიემართებოდა. გავცელებული ინფორმაციით, ებრაელ სამხედროებსა და ერთ-ერთ გემ „მავ მარმარა“-ზე მყოფ ადამიანებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 19 ადამიანი გარდაიცვალა, თუმცა ისრაელი მხოლოდ

9 მათგანის დაღუპვას ადასტურებს. გარდაცვლილთაგან 8 – თურქეთის მოქალაქე, ერთი კი, ეროვნებით თურქი, აშშ-ს მოქალაქე იყო. შეტაკებისას დაიჭრა 30-ზე მეტი ადამიანი. გემზე მყოფთა უმრავლესობა თურქეთის მოქალაქე იყო.

ისრაელი ფლოტილიის მოქმედებას თავიდანვე პოლიტიკურ პროვოკაციად აფასებდა და აფრთხილებდა, რომ თუ გემები ლაზას მიუახლოვდებოდნენ, ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალები მათ საპორტო ქალაქ აშდოდში ჩაათრევდნენ, საიდანაც ფლოტილიის 600 ნევრი დეპორტირდებოდა. ფლოტილიამ მაინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

შეტაკების შემდეგ მომხდარზე პასუხისმგებლობა ისრაელმა რეიდის ორგანიზატორებს დააკისრა და მტკიცება დაიწყო, რომ ძალადობა გემზე მყოფმა

პირებმა დაიწყეს და მათ სამხედროებს არ დაემორჩილნენ. „ეს ყველაფერი ადრევე იყო დაგეგმილი. სამწუხაროდ ეს ადამიანები მეტალის ბასრი საგნებით იყვნენ შეიარაღებულები და ჩვენს სამხედროებს არ ემორჩილებოდნენ, აგრესიულებიც იყვნენ“, – ასეთი განმარტება გააკეთა ისრაელის არმიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ავიტალ ლობივიცმა შემთხვევიდან ცოტა ხანში. გაგრცვლდა დაკავების ოპერაციის ვიდეოჩანაწერიც, სადაც ისრაელის სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმის კადრებია ასახული.

საპირისპიროს ამტკიცებს თურქული მხარე. თურქეთის ტელევიზიამ აჩვენა კადრები, სადაც ჩანს, რომ ისრაელის ჯარისკაცები ხომალდზე ძალადობდნენ. „ალ-ჯაზირას“ კადრებში კი ჩანს, რომ გემების დატყვევებაც სროლების თანხლებით მიმდინარეობდა.

ამ შემთხვევის დროს ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრები ოკეანის-მიღმა იმყოფებოდნენ. ნათანიაჰუ ისე დაბრუნდა ისრაელში, ობამასთან შეხვედრა ვერ მოასწრო. თურქეთში განსაზღვრულზე ადრე დაბრუნდა ერდოღანი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან.

შემთხვევის მეორე დღეს გაერო-მ უშიშროების საგანგებო სხდომა მოიწვია, სადაც გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ისრაელის ქმედება დაგმო. „გამოძიებამ დანიტრერესებულ მხარეების რწმენა და მხარდაჭერა უნდა შეიძინოს. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი და ამავე დროს საკმაოდ რთულია. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს პროცესი გამჭვირვალე იყოს და მიუკერძოებელი.“

გაერო-ს საგანგებო სხდომაზე ყველაზე მწვავე გამოსვლა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავითოღლუს ჰქონდა. მან ისრაელის ქმედებას „სახელმწიფოს ხელით მკვლელობა“ უწოდა. „სახელმწიფო, რომელიც ასეთი გზით მიდის, საერთაშორისო საზოგადოების წევრობის ლეგიტიმურობას კარგავს“, – აცხადებდა დავითოღლუ.

უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან ასეთი მჭევრმეტყველი არც ერთი არ ყოფილა. თუმცა, მათი უმრავლესობა ისრაელს აკრიტიკებდა და ამ ფაქტის სრულ გამოძიებას მოითხოვდნენ. ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის – რუსეთმა, საფრანგეთმა და ჩინეთმა, ღაზას სექტორისთვის ბლოკადის მოხსნაც მოითხოვა.

ობამას ადმინისტრაცია ტრადიციულად შეეცადა, დაბალანსებული ყოფილიყო და ისრაელს მშვიდობიანი დათმობებისკენ მოუწოდა. მაგრამ აშშ-ს პოზიცია მაინც ისრაელის გამამართლებელი იყო. ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი აცხადებდა, რომ შესაძლებელია, ამ ქმედებისთვის განსაჯო ისრაელი, მაგრამ რეალურად, მას უფლება აქვს, შეამონმოს ღაზასკენ მიმავალი გემები, რათა დაადგინოს, ხომ არ ხდება იარაღის კონტრაბანდა. თუმცა, ამავე დროს ბაიდენმა ისრაელს მოუწოდა, „უფრო დიდსულოვანი იყოს პალესტინელი ხალხისადმი, რომელსაც ღაზაში პრობლემები აქვს“.

მოგვიანებით ისრაელმა საზღვაო

რეიდის დროს დაკავებული ასობით პროპალესტინელი აქტივისტი გაათავისუფლა. მათ თურქეთში, როგორც გმირებს ისე შეეგებნენ. ისრაელმა არ გაითვალისწინა გაერო-ს მოთხოვნა და ბლოკადა არ მოხსნა.

მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის ეს მოთხოვნა ეგვიპტემ გაითვალისწინა და, პრეზიდენტის გადწყვეტილებით, რამდენიმე დღით ღაზას სექტორის საზღვართან დერეფანი გახსნა, საიდანაც ჰუმანიტარული ტვირტის მიწოდება გახდა შესაძლებელი.

თურქეთმა ისრაელთან ერთობლივი ენერგეტიკული პროექტები გაყინა. ანკარაში აცხადებენ, რომ ისრაელთან ენერგეტიკის სფეროში ნებისმიერ პროექტს წინ არ წასწევენ, ვიდრე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ სამშვიდობო ფლოტილიაზე თავდასხმამდე პერიოდს არ დაუბრუნდება. 2008 წელს მიღწეული შეთანხმების თანახმად, ხმელთაშუა ზღვაში უნდა ჩაღებულყო 480-კილომეტრიანი გაზსადენი, რომელიც ჯეიჰანსა და აშქელონს დააკავშირებდა. მაგისტრალი გაზს კასპიის რეგიონიდან უნდა მიეღო.

ისრაელის სამხედრო ძალების იერიშმა, ანალიტიკოსების და მედიის მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ახლო აღმოსავლეთის საკითხების ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ, მათი აზრით, ჰუმანიტარული ფლოტილის მთავარი მიზანი ისრაელის მიერ ბლოკირებულ ღაზას სექტორზე მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა იყო.

ისრაელის ხელისუფლება ასევე ამტკიცებს, რომ ღაზაში ჰუმანიტარული კრიზისი არ არის, და ყოველკვირა იქ 15 ათას ტონამდე ჰუმანიტარული დახმარება ჩადის. გაერო-ში მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ საჭირო რაოდენობის მეოთხედია.

ისრაელისა და ეგვიპტის მხრიდან ღაზას ეკონომიკური ბლოკადა სექტორის მმართველობაში გასამხედროებული მოძრაობა „ჰამასის“ მოსვლის შემდეგ დაიწყო და, უკვე თითქმის სამი წელია, გრძელდება.

უფრო ადრე ისრაელი წინასწარ აფრთხილებდა „თავისუფლების ფლოტილიას“, გემები მის ტერიტორიულ წყლებში არ შეეყვანა. **■**

ეკონომიკური ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებული

კეთრინ ეშტონის ინიციატივა შესაძლოა აღმოსავლეთის სამეზობლოში ევროკავშირის ჩართულობის დრამატულ შემცირებას მოასწავებდეს.

სალომე ასათიანი, რადიო „თავისუფლება“



აღმოსავლეთის სამეზობლოს მიმართ ევროკავშირის ინტერესის კლების დამადასტურებელი კიდევ ერთი ნაბიჯი – ასეთ შეფასებას აძლევს ბევრი გავრცელებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური ლიდერი კეთრინ ეშტონი სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელთა პოსტების გაუქმებას გეგმავს.

ევროკავშირში მალე უნდა ამუშავდეს ახალი სტრუქტურა – საგარეო მოქმედების სამსახური. როგორც იუწყებიან, ამის შემდეგ სამხრეთი კავკასიის საქმეებზე საშუალო რანგის მოხელე იმუშავებს, რომელსაც ბრიუსელში ექნება ბინა. ეს კი, ბევრის აზრით, ევროკავშირისა და რეგიონის ურთიერთობაში ინტენსივობას დრამატულად შეამცირებს.

სამხრეთ კავკასიაში საგანგებო წარმომადგენელი – პოსტი, რომელიც ახლა უქმდება – ევროკავშირის 2003 წლის შემდეგ ჰყავს.

დაახლოებით იგივე ბედი ეწევა მოლდოვაში საგანგებო წარმომადგენლის პოსტსაც. დიპლომატების თქმით, ეს ამბავი სიურპრიზი იყო კავშირის ბევრი წევრი ქვეყნისთვის, ისევე როგორც თავად საგანგებო წარმომადგენლებისთვის, პეტერ სემნებისა და კალმან მიჟეისთვის.

ინიციატივა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს და, თუკი დამტკიცდა, ის რეგიონებისთვის გაგზავნის მკაფიო სიგნალს, რომ მოლდოვა და სამხრეთი კავკასია ევროკავშირის თვალში პრიორიტეტულობას კარგავენ.

ევროპარლამენტარმა, ევროკავშირისა და მოლდოვის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის დელეგაციის წევრმა, რუმინელმა პოლიტიკოსმა, ტრაიან უნგურენანუმ ამ ინიციატივას უწოდა „დიდი საგარეოპოლიტიკური შეცდომა“, რომელიც „რუსეთისთვის ძალიან კარგ ამბავს“ წარმოადგენს:

„ორივე ადგილი უშუალოდაა დაკავშირებული რუსეთის ინტერესებთან, რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან. ორივე ადგილს, ასე ვთქვათ, „რუსული დაავადება“ აწუხებს. ეს მართლაც ძალიან შემამფოთებელი საკითხია“, – განაცხადა ტრაიან უნგურენანუმ.

ინიციატივა 28 მაისს, ევროკავშირის ელჩების შეხვედრაზე წამოაყენა კეტრინ ეშტონის თანამემწემ, ვეტერანმა ბრიტანელმა დიპლომატმა რობერტ კუპერმა. თავის გამოსვლაში კუპერმა ერთგვარად განავრცო წერილი, რომელიც ეშტონმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს 21 მაისს გაუგზავნა. წერილში, რომელსაც ერთ-ერთმა ევროპელმა დიპლომატმა „ბუნდოვანი“ უწოდა, ევროკავშირის უცხოეთში წარმომადგენლების არსებული სტრუქტურის რეორგანიზების პრინციპები იყო წარმოდგენილი.

ეშტონის წერილში გამოთქმული წინადადებით, ევროკავშირმა საგანგებო წარმომადგენლების პოსტები გეოგრაფიულად მოშორებულ რეგიონებში უნდა გააუქმოს ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ევროკომისიის დელეგაციებს უნდა შეუერთოს.

დიპლომატები, რომლებიც კრიტიკულად აფასებენ ეშტონის გეგმას, ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებენ, რომ ეშტონი აპირებს საგანგებო წარმომადგენლები შეინარჩუნოს სუდანში, დიდი ტბების რეგიონში და შუა აზიაში. ყველა ეს ადგილი ევროკავშირისგან ბევრად უფრო მოშორებით მდებარეობს, ვიდრე – სამხრეთი კავკასია.

ამასთან, ეს ნაბიჯი ევროკავშირის შიგნით დიდი პოლიტიკის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებასაც ნიშნავს – მსხვილი წევრი ქვეყნების ინტერესები სულ უფრო მეტად ახდენს გავლენას ევროკავშირის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. ამ ქვეყნებს – გერმანიას, საფრანგეთს, ბრიტანეთს – შუა აზიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებთ, რაც დიდწილად ავღანეთში მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობით არის გამოწვეული.

ბრიუსელში მომუშავე ოფიციალური პირების აზრით, ეშტონი ამ ინიციატივას წინასწარ აუცილებლად შეათანხმებდა ბერლინთან, პარიზთან და ლონდონთან. არადა, პოლონეთს და ევროკავშირის რამდენიმე სხვა, ძირითადად, აღმოსავლელ წევრებს სურდათ, ბლოკს სამხრეთ კავკასიაში ჩართულობა კიდევ უფრო გაეძლიერებინა. მათი სურვილი იყო სემნებისა და მიჟეის მანდატების ვადის დასრულების მერე – ანუ მიმდინარე წლის 31 აგვისტოს შემდეგ ევროკავშირს თავის წარმომადგენლად იქ გავლენიანი ფიგურა, იდეალურ შემთხვევაში, რომელიმე წევრი ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიევილინა. უცნობია, წინასწარ აცნობეს თუ არა ვარშავას ეშტონის გადაწყვეტილების თაობაზე, მაგრამ ახლა, თუკი ამ ინიციატივას ზურგს გერმანია, საფრანგეთი და ბრიტანეთი უმაგრებენ, ის, სავარაუდოდ, ვედარაფერს გააწყობს.

გადაწყვეტილება საგანგებო წარმომადგენლების პოსტების გაუქმების თაობაზე გავლენას არ იქონიებს ევროკავშირისა და სამხრეთი კავკასიის ქვეყნებსა თუ მოლდოვას შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებზე. ეს ხელშეკრულებები ქვეყნებს არ უხსნის კარს ბლოკში პოლიტიკური ინტეგრაციისკენ, თუმცა, შესაძლოა, თავისუფალი ვაჭრობა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გაუქმება მოიტანოს.

მაგრამ, ტრაიან უნგურენანუს ვარაუდით, ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობას გარკვეული დინამიკა თუ ენთუზიაზმი მაინც მოაკლდება:

„არ გამიკვირდება, თუკი ეს ნაბიჯი საქართველოს ან მოლდოვის იმედგაცრუებას მოიტანს. ისინი ნახავენ, რომ უზარმაზარმა პროევროპულმა მცდელობებმა არ გამოიღო ნაყოფი; ამან კი, შესაძლოა, ამ პროდასავლური მთავრობების პოზიციების დასუსტება მოიტანოს შიდაპოლიტიკურ კონტექსტში“.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური ლიდერის გადაწყვეტილების ირგვლივ ჯერჯერობით ფრთხილი განცხადებებით შემოიფარგლებიან. „ჩვენი მხრიდან შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია. მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ რა ფორმით და სად გადანაწილდება ეს ფუნქციები. შედეგზე ამის მერე შეიძლება ლაპარაკი. დღეს, მე როგორც მესმის, მხოლოდ კადრების შემცირებაზე ან თანამდებობების გაუქმებაზე არ არის ლაპარაკი – საუბარი ასევე უნდა იყოს პოლიტიკურ მესიჯებზეც“, – განაცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა და დასძინა, – „კარგი იქნება, თუ [ეს პოსტი] არ გაუქმდება, მაგრამ თუკი გაუქმდება, მაშინ უნდა ვნახოთ, სად გადავა ეს ფუნქციები. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება იმის თქმა, [ეს ცვლილება] კარგი იყო თუ ცუდი“.

სტატია იბეჭდება რადიო „თავისუფლების“ მასალაზე დაყრდნობით

პოლონეთს ხსათის ახ სჯახა

პოლონეთმა დაღუპული პრეზიდენტის თვითმფრინავის შავი ყუთის გაშიფრული სტენოგრამა გამოაქვეყნა. თუმცა, შეკითხვები მაინც რჩება.

ნათია ახალაშვილი



ტუ 154-ის შავი ყუთები



კატასტროფის ადგილი სმოლენსკთან, აპრილი 2010

პოლონეთის ხელისუფლებამ სტენოგრამის ჩანაწერები რამდენიმე ოფიციალურ ვებგვერდზე დადო. სტენოგრამის ცხრილში მითითებულია, ვინ ლაპარაკობს, საუბრის დრო და ტექსტი (რუსულ და პოლონურ ენებზე). საუბრის ბევრ ფრაგმენტს აწერია სიტყვა „გაურკვეველია“. პოლონეთში აცხადებენ, რომ 2 კვირაში ჩანაწერები უფრო ზუსტად გაიშიფრება.

ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების პოდპოლკოვნიკი ბარტომ სტროინსკი კი აცხადებს, რომ რუსულმა მხარემ პოლონეთს „შავი ყუთების“ ჩანაწერი შეუცვალა. ის ამტკიცებს, რომ სტენოგრამის გაშიფრვის პროცესში მოსკოვში ყოფნისას მან დოკუმენტს ხელი მოაწერა, მიღებულ დოკუმენტზე კი მისი ხელმოწერა აღარ არის. გარდა ამისა, ვარშავაში პირველ ივნისს გამოქვეყნებული სტენოგრამა 2 მაისითაა დათარიღებული, სტროინსკი კი ამბობს, რომ ხელი დოკუმენტს მანამდე მოაწერა.

ამას გარდა, პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ პოლონელი სპეციალისტები არ ადასტურებენ ქვეყნის დიპლომატიური პროტოკოლის უფროსის მარიუშ კაზანის მფრინავების კაბინაში ყოფნას. „ის, რომ „შავი ყუთის“ ჩანაწერი ხმა ეკიპაჟის წევრს არ ეკუთვნოდა და მარიუშ კაზანის იყო, მხოლოდ ვარაუდია. ამას არც პოლონელი ექსპერტები ადასტურებენ“, – ამბობს სამინისტროს პრეს-მდივანი. პოლონეთი ოფიციალურად ადასტურებს მფრინავების კაბინაში მხოლოდ ერთი დასახელებული პიროვნების ყოფნას – ეს ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელი ანჯეი ბლასიკი იყო.

მოსკოვში განთავსებულმა, კატასტროფის მიზეზებზე მომუშავე სახელმწიფოთაშორისო საავიაციო კომისიამ კი საუბრის სტენოგრამაში კაზანის გვარიც მიუთითა.

მფრინავების კაბინაში საუბარი „ტექნიკურ ენაზე“ მიმდინარეობდა და არასპეციალისტისთვის ბევრი

მონაკვეთის გაგება რთულია.

სტენოგრამაში ავარიამდე 15 წუთით ადრე ისმის დისპეტჩერის გაფრთხილება, რომ „თვითმფრინავის დაშვების პირობები არ არის“.

10:25 საათზე სტენოგრამაში ჩნდება ადამიანი კოდით „044“, „გულით მოგესალმებით. ხედვა დაახლოებით 400 მეტრია და, ჩვენი აზრით, ღრუბლის ქვედა ფენის სიმაღლე 50 მეტრზე დაბალია“. რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე აბონენტი ამბობს: „გულახდილად გეტყვით – შეგიძლიათ სცადოთ, მაგრამ თუ მეორე ცდაზეც არ გამოგივათ, მაშინ გთავაზობთ მოსკოვში ან სადმე სხვაგან გაფრინდეთ“. ამის შემდეგ მეთაური დაშვების ნებართვას ითხოვს.

შემდეგ უკვე განიხილება სათადარიგო აეროდრომზე ან მინსკში დაშვება, რასაც წმინდა ტექნიკური განხილვები მოჰყვება.

ბოლო ავტომატური სიგნალი ასეთია: „აიწიეთ! აიწიეთ!“

10:41 საათზე თვითმფრინავი ჩამოვარდა. □

ოხმები ახრეპანი

მიკერძოებული მედიის პირობებში ტელეარხის არჩევანს უმეტესწილად პოლიტიკური შეხედულება განსაზღვრავს და არა ახალი ამბების ხარისხი.

რუსუდან რუხაძე

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მედიასაშუალებებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პოლიტიკოსებთან ერთად, ქვევის კოდექსს მოაწერეს ხელი და დადეს პირობა, რომ არჩევნების გაშუქებისას სამართლიანები და ობიექტურები იქნებოდნენ.

არჩევნების დასრულების შემდეგ ევროკავშირის და გაეროს წარმომადგენლებისგან დაბალანსებული გაშუქებისთვის შექცება მხოლოდ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ დაიმსახურა. წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფალი ინტერპრეტაციით გაშუქება მოგვიანებით უფრო-სადაცკვირვებლო მისიამაც აღნიშნა. „მედიագარემო არაერთგვაროვანი და მრავალმხრივია, მაგრამ ხშირად მედიაკომპანიები განიცდიან მფლობელების გავლენას. გამჭვირვალობა მედიამფლობელების საკითხში უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მთლიანობაში სრულად დაბალანსებული სურათი შესთავაზა მაყურებელს, ყველა სხვა ტელეკომპანიის გაშუქება რამდენადმე დაუბალანსებელი იყო“, – აღნიშნული იყო დასკვნაში. ბუნებრივია, ეს შეფასებაც მხოლოდ „პირველი არხის“ საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა.

არჩევნების დღეს კერძო ტელეკომპანიებმა ერთმანეთისგან განსხვავებული სურათი შემოგვთავაზეს. „კავკასია“ და „მაესტრო“ ძირითად აქცენტებს საარჩევნო პროცესის დარღვევებზე აკეთებდნენ. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე კი განწყობა ბევრად საზეიმო იყო. სენსორულ ეკრანზე არჩევნების მიმდინარე შედეგების



■ ტექნიკურად „რუსთავი 2“-ის მიერ არჩევნების დღის გაშუქება ყველაზე ეფექტური იყო, თუმცა დარღვევებზე მინიმალური აქცენტით.

ჩვენება, ბათუმის ახლად გახსნილი სტუდია, პირდაპირი ჩართვები სხვადასხვა რეგიონიდან – ტექნიკურად „რუსთავი 2“-ის მიერ არჩევნების დღის გაშუქება ყველაზე ეფექტური იყო, თუმცა დარღვევებზე მინიმალური აქცენტით. დარღვევების, შეფასებების და შედეგების შესახებ ახალი ამბები ყველაზე დაბალანსებულად და პროპორციულად „მოამბემ“ წარმოაჩინა.

„რუსთავი 2“-სა და „იმედის“ მიერ „ედისონ რისერჩისტვის“ დაკვეთილი ეგზიტ პოლის გამოცხადებას, „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში გამარჯვების აღნიშვნა მოჰყვა. თუმცა მაუწყებლები არ უსვამდნენ ხაზს ისეთ მნიშვნელოვან მონაცემს, როგორცაა უარი პასუხზე. სახელისუფლო გუნდის კიდევ ერთი გამარჯვების აღნიშვნისას პრეზიდენტმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პარტიების „მონიფულობას“ გაუსვა ხაზი და მადლობა მრავალეთნიკურ საზოგადოებას გადაუხადა. პირდაპირი წესით არჩეულმა პირველმა მერმა კი თანაპარტიელების წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ „30 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეის გამარჯვებაა“. მეორე დღეს „მაესტროს“ სიუჟეტში განმარტებული იყო, რომ გამარჯვების აღნიშვნას მხოლოდ პარტიის ოპერატორები იღებდნენ და ჟურნალისტებს დარბაზში შესვლის უფლება არ დართეს. შესაბამისად ვერავინ დასვამდა ბუნებრივად გაჩენილ კითხვას, როგორ გამოდგება თანამშრომლობის საფუძვლად კონკურენტი კანდიდატების ის

პროგრამული ასპექტები, რომელთაც არჩევნებამდე აბსურდულს უწოდებდნენ და, პრეზიდენტის განმარტებით, მათ შესრულებას იაპონიის ბიუჯეტიც არ ეყოფოდა.

ალასანიას ჯანდაცვის, თოფაძის საწარმოების ამუშავების, ჭანტურიას კომუნალური გადასახადების პროგრამა – უგულვამ გამოსვლაში ოპონენტებთან საუბრის სურვილი სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვა. გიორგი თარგამაძემ ქალაქის ახლად არჩეული მერის ინიციატივა „გამარჯვებული ადამიანის სულგრძელობის დემონსტრირებად“ შეაფასა, გოგი თოფაძემ კი – „წინასაარჩევნო კამპანიის გაგრძელებად“.

არჩევნების დღეს „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ არაერთხელ აღინიშნა, რომ „დარღვევები მხოლოდ ტექნიკური ხასიათის იყო“. პროცედურული დარღვევები კი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ „მაესტროზე“ გასულ სიუჟეტში არჩევნების გაყალბების მცდელობად შეაფასა. საარჩევნო პროცესზე დამკვირვებელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ბრიფინგები დარღვევების კონკრეტულ ფაქტებზე ვრცლად „კავკასიასა“ და „მაესტროზე“ შუქდებოდა. ნაციონალური მაუწყებლები კი ძირითად აქცენტებს საერთაშორისო დამკვირვებლებზე აკეთებდნენ, რომელთა შეფასებები გაცილებით ზოგადი და თავშეკავებული იყო.

„კავკასიასა“ და „მაესტროზე“ არჩევნების დღის ქრონიკის დიდი წილი დარღვევებს ეხებოდა, რაც ნაკლებად ეთანხმებოდა იმ რეალობას, რომ არჩევნებმა მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა. საარჩევნო უბნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების გამოჩენას „კავკასიასზე“ საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი მიეძღვნა. „ვინ იყვნენ ეს შავი ქალები“, – იხუმრა გიორგი თოფაძემ, თინა ხიდაშელმა კი „ქალთა ოცულები, ზონდერები“ უწოდა. გოკა გაბაშვილი განმარტავდა, რომ კოორდინატორები კარდაკარ გამოკითხვით იდენტიფიცირებული ამომრჩევლების მობილიზებას ახდენდნენ, რაც ზოგადად გავრცელებული პრაქტიკაა. საარჩევნო უბნებთან მისული ქალბატონები კი ოჯახის წევრების ლოდინს იმიზეზებდნენ, ნაწილი არ მალავდა, რომ „ნა-

ციონალური მოძრაობიდან“ იყვნენ და აკვირდებოდნენ, გამოცხადდებოდნენ თუ არა არჩევნებზე მათი მხარდამჭერები.

მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო დღის დასასრული. ნაციონალურმა არხებმა პირდაპირ ეთერში არჩვენეს, როგორ იხურებოდა კონკრეტული საარჩევნო უბანი და ამის მაგალითზე ხმის დათვლის პროცედურები კიდევ ერთხელ განმარტეს. ეს იყო უბნები, სადაც საარჩევნო დღემ ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩაიარა. „კავკასიის“ გადამღები ჯგუფი კი არჩევნების დღეს მთანმინდის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა არ დაემთხვა გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობას. გადათვლა დილაშე მიმდინარეობდა კომისიის წევრთა კამათის ფონზე. ვრცელი სიუჟეტი მთანმინდის საარჩევნო უბნიდან „კავკასიამ“ მეორე დღეს შესთავაზა მაყურებელს.

„თბილისში არჩევნები შედგა, მე პატივს ვცემ ყველა მოქალაქის თავისუფალ არჩევანს, რომელმაც ხმა ჩემს კონკურენტს მისცა“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ არჩევნების მეორე დღეს. გია ჭანტურიაშვილს მიულოცა გამარჯვება ქალაქის მერს. დამარცხებული კანდიდატების მიერ უგულავას გამარჯვების აღიარება და ამომრჩევლებისთვის მადლობის გადახდა წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა. „ბევრად უფრო კონკრეტული საუბარი, ბევრად უფრო საგნობრივი, ნაკლები ლანდღვა, მათ შორის პრეზიდენტისაც, ლამის მიტოვებულად ვიგრძენი თავი“, – პრეზიდენტმა წინასაარჩევნო კამპანია დადებითად შეაფასა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობით კმაყოფილება გამოხატა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა კი ძირითად ხარვეზად ხმების დათვლის პროცესი, ადმინისტრაციულ რესურსზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, საჯარო პირების საარჩევნო კამპანიაში ჩართვა და ზოგადად საარჩევნო კანონმდებლობა მიიჩნიეს.

საჩივრების განხილვისთვის თვალის მიდევნებას არჩევნების შემდგომ

კვირაში „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შეეცადა. „მომამბე“ იმ სამომავლო რეკომენდაციებსაც განიხილავდა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავიანთ ანგარიშებში შეიტანეს. არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად გაშუქება ამომრჩევლისთვის საჩივრების განხილვის თანმიმდევრულ ინფორმირებასაც გულისხმობს. „მაესტრო“ და „კავკასია“ არჩევნების მომდევნო დღეებშიც უთმობდა ეთერს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც საარჩევნო დარღვევების სხვადასხვა ფაქტს აცნობდნენ მედიას: ბიულეტენების დაგვიანებით მიტანა; საარჩევნო ატრიბუტიკის დაზიანება; გადასატანი ყუთებით არჩევნების გაყალბების მცდელობა; მარკირების პრობლემა; არასრულწლოვანთა არჩევნებში მონაწილეობა; ხმის დათვლის პროცესში მათი წარმომადგენლების დასწრების აკრძალვა.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ექსპერტები, რომელთაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს მაუწყებლები აზრს კანდიდატთა პროგრამებსა და სტრატეგიულ ნაბიჯებზე იშვიათად ეკითხებოდნენ, არჩევნების დღეს კვლავ გაიხსენეს. „შეიძლება, რამე ამბიციები გაუჩნდეს უგულავას?“ – ჰკითხა რამაზ საყვარელიძეს „მაესტროს“ ჟურნალისტმა. „ამბიციები საერთოდ რატომ არ შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს“, – იყო ექსპერტის პასუხი. კითხვა გიგი უგულავას პოლიტიკური ამბიციის შესაძლო გაზრდას ეხებოდა.

პრეზიდენტის განცხადებით, არჩევნები მინიმუმ ორ წელს აღარ იქნება, მაგრამ ორი რამ არჩევნებიდან მეორე დღესვე შეიცვალა: ძიძიგურის ლოზუნგი „ბრძოლა დღესვე“ „ბრძოლა გრძელდება“-დ გადაკეთდა, „ნაციონალური მოძრაობის“ ბილბორდებზე კი წარწერის „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“-ს ნაცვლად გაჩნდა წარწერა – „მადლობა თბილისელებს მხარდაჭერისთვის“. ცვლილებებს ამ დროს ამომრჩეველს სულ სხვა პოლიტიკური გუნდი ჰპირდებოდა. **■**

სტატიის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.





ფარიდ ზაკარია

ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ნიუსვიკის“ საერთაშორისო გამოცემის რედაქტორი და ტელეკომპანია CNN-ის შოუს Fared Zakaria GPS-ის წამყვანი

ოზამა VS ალ კაპონე -
ვისი საბარაო პოლიტიკაა უფრო ჭკვიანური?
2010 წლის 29 მაისი, „ნიუსვიკი“

ახლახან გადაღებულ ფოტოს, რომელზეც თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი და ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინასიუ ლულა დე სილვა ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადს გულთბილად ხვდებიან, ათობით ათასი კომენტარი მოჰყვა. ერთ ფოტოს იშვიათად თუ გაუღიზიანებია ამდენი ხალხი ასე ძლიერ.

კრიტიკის მთავარი ობიექტი კი იყო ადამიანი, რომელიც არ ყოფილა ამ სურათზე. „ამ კრახზე სრული პასუხისმგებლობა ოზამას ადმინისტრაციას ენიჭება“, – განაცხადა „უოლ სტრიტ ჯურნალმა“. კონსერვატორი ჩარლზ კრაუტჰამერი ნაკლებად თავშეკავებული იყო. „ვაშინგტონ პოსტში“ მან დაიჭყტა „ეს გამომწვევი ფოტო – „აჰა შენ, ბიძა სემ!“ ოზამას საგარეო პოლიტიკის გამანადგურებელი ვერდიქტია“. როცა ოზამასი არ გეშინია, გაქვს შესაძლებლობა, რომ ბევრი მიიღო ამერიკის მტრებისგან, – წერს კრაუტჰამერი.

მისი კონსერვატორი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ოზამა უნდა გახდეს უფრო მტკიცე, განახორციელოს ზენოლა ამ ქვეყნებზე და აჩვენოს, რომ ამერიკა ნიშნავს ბიზნესს. აქ მხოლოდ ერთი პრობლემაა: ეს პოლიტიკა უკვე საფუძვლიანად გამოიყენეს და კატასტროფულად ჩაფლავდა. ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაცია თავის პოლიტიკას განსაზღვრავდა, როგორც მტკიცეს და აგრესიულს. „უკეთესია, შენი ეშინოდეთ, ვიდრე უყვარდე“, – დიკ ჩეინის უყვარდა მაკიაველის ციტირება. ალ კაპონეს სიტყვების ციტირებით დონალდ რამსფელდმა ნაკლებად ხარისხიანი წყარო აირჩია: „კეთილი სიტყვით და იარაღით უფრო მეტს მიაღწევ, ვიდრე კეთილი სიტყვით“.

დაგვაინწყდა ამ საგარეო პოლიტიკური მაჩოისტური ექსპერიმენტის შედეგები? ამერიკის უძველესი მოკავშირეები ევროპაში მის წინააღმდეგ განწყვენენ. მთავრობები საჯაროდ აკრიტიკებდნენ ვაშინგტონის სხვადასხვა გადაწყვეტილებას და უარს აცხადებდნენ მისი ქმედებების მხარდაჭერაზე. 2007 წლისთვის, ხალხების დიდი უმრავლესობა ქვეყნიდან ქვეყანაში, მათ შორის – ტრადიციულად პროამერიკულ ბრიტანეთში, ამერიკის წინააღმდეგ განწყვენენ.

თურქეთი, როგორც ჩანს, იმისი მაგალითი აღმოჩნდა, თუ როგორ არ უნდა მოექცე მოკავშირეს. ბუშის ადმინისტრაცია თურქეთს ეპყრობოდა თვითნებურობისა და აროგანტულობის ჩვეული ნაზავით, ემუქრებოდა მწვავე შედეგებით, თუ იგი არ მისცემდა ამერიკას ნებას, თურქეთიდან შეეცა ერაყისთვის. ამკარად გაუთვითცნობიერებელი გახლდათ, რომ თურქეთი გახდა დემოკრატიული ქვეყანა, სადაც მოსახლეობის 95% ეწინააღმდეგებოდა ომს ერაყში.



ხასიონაღიხი თუ საბაჰო

ოზამას კრიტიკოსებს მხედველობის არიდან რჩებათ ერთი ფართო ტენდენცია. ისეთი ქვეყნები, როგორც თურქეთი და ბრაზილია (და ჩინეთი და ინდოეთი), გასული ორი ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურად იზრდებოდნენ. 1995 წელს ე.წ. „ახალი ბაზრები“ შეადგენდნენ მსოფლიო ეკონომიკის მესამედს. ამ წელს მათი წილი მსოფლიო ეკონომიკაში ნახევრამდე გაიზრდა და ზრდას განაგრძობს. მათ გაუძლეს ეკონომიკურ კრიზისს იმაზე უკეთ, ვიდრე დასავლეთმა. ისინი არიან პოლიტიკურად სტაბილურები, მდიდრები და უფრო და უფრო დარწმუნებულები, რომ მეტი როლი უნდა ითამაშონ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ამ პირობებში, მოსაზრება, რომ ოზამამ ამერიკის ძალაუფლებას უფრო მეტად უნდა გაუთქვას სახელი, სულელურია და საშიში. ბრაზილია და თურქეთი არ გახდებიან უფრო მეტად მეგობრულები, თუ ვაშინგტონი მათ დაემუქრებათ. ამერიკის მიზანია, მათთან პარტნიორობის გზები იპოვოს და დაარწმუნოს ისინი, რომ სტაბილური და ნორმალური მსოფლიო მათსავე ინტერესებშია. ალ კაპონე ამისთვის მისაბამ მაგალითად არ გამოგვადგება.

■ დაგვაზინყდა... საგარეო პოლიტიკური მაჩოისტური ექსპერიმენტის შედეგები? ამერიკის უძველესი მოკავშირეები ევროპაში მის წინააღმდეგ განეწყვნენ. მთავრობები საჯაროდ აკრიტიკებდნენ ვაშინგტონის სხვადასხვა გადაწყვეტილებას და უარს აცხადებდნენ მისი ქმედებების მხარდაჭერაზე.

ახა ბახაზ ობამას პოლიტიკაზე?



ირაკლი ხაჩიძე

ამერიკელი კოლუმნისტი, პულიცერის პრემიის ლაურეატი. ამერიკული საგარეო პოლიტიკის ნეოკონსერვატორული ფრთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი.

სისუსტის შედეგები
2010 წლის, 21 მაისი, „ვაშინგტონ პოსტი“

ურანის გამდიდრების შესაჩერებლად ბრაზილიისა და თურქეთის მიერ მხარდაჭერილი, ირანის ბოლო მანევრი, უბრალო ტრიუკია. ირანი ინარჩუნებს იმაზე მეტ გამდიდრებულ ურანს, რაც სჭირდება ბომბის გასაკეთებლად. ამავე დროს იგი აგრძელებს ურანის გამდიდრებას დაჩქარებული ტემპით და უფრო წმინდა სახით.

ურანის თურქეთში ტრანსფერის ტრიუკის მთავარი თავზედობა ისაა, რომ ბრაზილიამ და თურქეთმა ირანელი მოლეების ბირთვულ ამბიციებს კალთა დააფარეს, რითაც გამიზნულად გამოუთხარეს ძირი აშშ-ს მცდელობებს, შეაჩეროს ირანის ბირთვული პროგრამა.

გამომწვევი ფოტო, რომელზეც ბრაზილიის პრეზიდენტი (ლა-თინურ ამერიკაში ჩვენი ყველაზე დიდი მოკავშირე და თურქე-

თის პრემიერ-მინისტრი (ნატო-ს მუსლიმური დასაყრდენი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში), მაჰმუდ აჰმადინეჟადთან (მსოფლიოში ყველაზე აგრესიულ ანტიამერიკულ ლიდერთან) ერთად ხელს გვიქნევენ, ობამას საგარეო პოლიტიკის გამანადგურებელი ვერდიქტია.

ეს ფოტო, რომელიც თითქოს ამბობს: „აჰა შენ, ბიძია სემ!“ აჩვენებს, რომ სწრაფად მზარდმა დიდმა ქვეყნებმა (rising powers), ამერიკის ტრადიციულმა მოკავშირეებმა, გადაწყვიტეს, რომ არანაირი რისკი არ არსებობს ამერიკის მტრებთან დაახლოებით და არც არანაირი მოგება ამერიკის პრეზიდენტთან თანამშრომლობით.

ისინი უყურებდნენ პრეზიდენტ ობამას მიერ ირანის დაშოშმინების დამამცირებელ მცდელობებს, როდესაც ირანის მიერ უარყოფილ ყველა შეთავაზებას ამერიკა სამარცხვინოდ ახალ შეთავაზებას აყოლებდა.

ისინი უყურებდნენ ამერიკის უსიტყვო თანხმობას რუსეთის პოლიტიკაზე უკრაინასა და საქართველოში.

ისინი უყურებდნენ ჩვენ მიერ სირიის „დაშოშმინებას“, ირანის აგენტისა ახლო აღმოსავლეთში. ჩვენ გავაგზავნეთ ელჩი სირიაში, იმის მიუხედავად, რომ სირია აძლიერებს თავის მარნუხებს ლიბანზე, ამარაგებს ჰეზბოლას „სკადებით“ და განამტკიცებს თავის საკვანძო როლს ირან-ჰეზბოლა-ჰამასის ალიანსში.

ისინი უყურებდნენ ამერიკის ადმინისტრაციის მიერ ბრიტანეთის გაუმართლებელ გაკიცხვას ფოლკლენდის კუნძულებთან დაკავშირებით, მის აგდებულ დამოკიდებულებას ისრაელთან, ჩეხეთისა და პოლონეთის გარიყვას.

ისინი ხედავენ აშშ-ს პასიურობას ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის მიმართ, რომელიც რუსეთთან და ირანთან სამხედრო და კომერციული თანამშრომლობის გზით, ანტიამერიკულ „ბოლივარისტულ“ კოალიციას აწყობს.

ეს არ არის მხოლოდ ამერიკა, რომელიც სუსტდება, ეს არის ამერიკა, რომელიც უკან იხევს – ამტკიცებს, რატიფიცირებას უკეთებს და ხმამაღლა აცხადებს თავის დასუსტებას, ინვესტ მზარდ, ძლიერ ქვეყნებს, რომ ამოავსონ ვაკუუმი.

ეს არ არის უკან დახევა დაუკვირვებლობის გამო. ეს არის გამიზნული, პრინციპული ნაბიჯი. ეს არის ობამას მიერ მიღებული, ამერიკული ცოდვების შესახებ მესამე მსოფლიოს ნარატივის შესანიშნავი აღსრულება. იგი მოვიდა, რომ სამყარო ამ უპატივცემულობისგან და ბატონობისგან გადაარჩინოს. გასულ სექტემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიმართ წარმოთქმულ მის სიტყვაში ის ამბობს, რომ „არც ერთი ცალკეული სახელმწიფო არ უნდა ეცადოს სხვა სახელმწიფოზე გაბატონებას“ (გამოიცანით, რომელი იყო გაბატონებული სახელმწიფო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში?). იგი ასევე უარყოფს ნებისმიერ „მსოფლიო წესრიგს, რომელიც ერთ სახელმწიფოს ან ადამიანთან ჯგუფს სხვებზე მაღლა აყენებს“ (ნატო? დასავლეთი?).

ობამას პოლიტიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, ბრაზილია და თურქეთი რაციონალურად მოქმედებენ. რატომ არ უნდა დაფარონ აჰმადინეჟადის ბირთვული ამბიციები? თუ ამერიკა უკან იხევს ირანთან, ჩინეთთან, რუსეთთან და ვენესუელასთან, რატომ არ უნდა გაამყარონ საკუთარი ინვესტიციები? ობამასი არ გეშინია და ამავე დროს, გაქვს შესაძლებლობა, რომ ბევრი მიიღო ამერიკის მტრებისგან. ბოლოს და ბოლოს, მათ იმის მაინც სჯერათ, რომ მეგობრებს უნდა დაეხმარონ და მტრები უნდა დასაჯონ. □

ჩახომ აჩის ოპოზიციის სუსტი



მმართველი გუნდის გამარჯვების მიზეზი მათი სიყოჩაღეც არის, ოპოზიციური პარტიების შეცდომებთან ერთად. ახლა სწორედ ამაზე ვაპირებ საუბარს, რატომ იყო ოპოზიციის კამპანია არაეფექტური.

მარკ მალენი

ტერმინ „ოპოზიციას“ საქართველოში არამყარი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჯერ არ არის მიღწეული თანხმობა იმაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ტერმინი. ოპოზიციის ყველაზე აგრესიული ნაწილი თვლის, რომ მხოლოდ ისინი ფლობენ ლეგიტიმურ უფლებას, რომ განსაზღვრონ, ვინ არის ნამდვილი ოპოზიცია. ამგვარი აზროვნების მიხედვით, „ოპოზიცია“ ნიშნავს „იმას, ვინც წინააღმდეგობას უწევს“, და ის, ვინც ყველაზე მეტ წინააღმდეგობას წევს, ყველაზე სერიოზული ოპოზიცია გამოდის, არა? იმის მიზეზი, რომ მსგავსი დამოკიდებულება არსებობს, ჩემი მოსაზრებით, საბჭოთა წარსულში უნდა ვეძებოთ, რადგან მაშინ პარტია და სახელმწიფო იყო ერთი და იგივე და იყო განუზომლად ძლიერი, ამიტომ, მის წინააღმდეგ რჩებოდა მხოლოდ ერთი ძლიერი ოპოზიციური აზრის ადგილი.

ახლა სიტუაცია შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია სახელმწიფოსთან არის ასოცირებული, კომუნისტურ მმართველობასთან შედარება არც კი შეიძლება. ოპოზიციის ცნება, სინამდვილეში, გაცილებით უფრო ნაკლებად დრამატულია, ვიდრე ხალხს ჰგონია. ისინი, ვისაც ოპოზიციას ვეძახით, არიან უბრალო ადამიანები, რომლებმაც რამდენიმე პოლიტიკური ცხოვრება გაიარეს, არ მოსწონთ ახლანდელი მთავრობა და ახერხებენ ტელევიზიით გამოჩენას.

მოსახლეობას ეს არ მოსწონს. მოსახლეობას უნდა, რომ მათი პრობლემები მოგვარდეს, უფლებები დაცული იყოს, ქვეყანა იყოს უსაფრთხო და მშვიდობიანი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის



ფოტო: მაკო აბრამიძე

პოლიტიკის ფუნდამენტური გაკვეთილი ის არის, რომ ძლიერი პარტია არ შეიძლება იყოს რამის წინააღმდეგ, ის უნდა იყოს რალაცის მხარდასაჭერად.

გამოც, მმართველმა გუნდმა ბოლო არჩევნებში გაიმარჯვა, ის არის, რომ მათ ეს გაიაზრეს და ნათლად ლაპარაკობდნენ პრობლემების გადაჭრაზე. მათ ჰქონდათ შესანიშნავი წინასაარჩევნო კამპანია. ამიტომ, გამარჯვების მიზეზი მათი სიყოჩაღეც არის, ოპოზიციური პარტიების შეცდომებთან ერთად. ამავდროულად, ოპოზიციის კამპანია იყო არაეფექტური და ახლა სწორედ ამაზე ვაპირებ საუბარს.

ბოლო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში ფინანსური რესურ-

სების დიდი ნაწილი მმართველ პარტიას მიუყვდა. ძალიან ცოტა მიიღო ოპოზიციამ. როდესაც ფინანსური დახმარება ოპოზიციას მისდიოდა, ის დუმდა, რადგან საგადასახადო ინსუპექციის ემინოდა. ჩემი შთაბეჭდილებით, ახლა ეს ნაკლებად ხდება იმიტომ, რომ ბოლო არჩევნები ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, თუ მთავრობა უფრო მომნიშვნელოვანი თვითდაჯერებული გახდა, ჩემთვის უცნობია. საინტერესო იქნება იმისი ნახვა, გადანყვეტს თუ არა მთავრობა, საპარლამენტო არჩევნების წინ გამოსვლას

და ბიზნესმენებისთვის იმის საჯაროდ, ნათლად და ხმაამაღლა თქმას, რომ მათ შიშის გარეშე შეეძლებათ ოპოზიციური პარტიების დაფინანსება. შიში ბიზნესებს ახლა ჯერ კიდევ აქვთ.

იგივე შეიძლება ითქვას ცალკეულ დამფინანსებლებზეც. ბოლო წლებში იმ ადამიანებს, რომლებიც ოპოზიციას უჭერდნენ მხარს, ან ნარკოტიკებს აღმოუჩენდნენ ჯიბეში ან სამუშაოს აკარგვინებდნენ. სიტუაცია გამოსწორების გზაზეა, მაგრამ შიში ჯერ არ გამქრალა.

ოპოზიციური პარტიების სისუსტის კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ მათ არ ესმით, რა არის კოალიციები. კოალიცია არის პარტიების ალიანსი. პარტიები არის ადამიანების ჯგუფები, რომლებიც თანხმდებიან გარკვეულ ღირებულებებზე და პოლიტიკაზე. საბჭოები, მეორე მხრივ, ადამიანების შეკრებებია. ეს ორი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. გარკვეული მიზეზით, ოპოზიციურ პარტიებს სურთ სხვადასხვა კოალიციის შექმნა მანამდე, ვიდრე ჩამოაყალიბებენ მყარ პარტიულ სტრუქტურას და ეყოლებათ ბევრი მხარდამჭერი. როგორ გრძნობენ თავს ტელევიზიით იგებენ, რომ მათი პარტია ალიანსში შევიდა სხვა პარტიასთან? ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი, ანუ მხარდამჭერები, იყვნენ არა პარტიაში, არამედ უბრალოდ მხარს უჭერდნენ ლიდერს.

პოლიტიკის ფუნდამენტური გაკვეთილი ის არის, რომ ძლიერი პარტია არ შეიძლება იყოს რამის წინააღმდეგ, ის უნდა იყოს რაღაცის მხარდასაჭერად. პარტიამ, რომელიც თავის თავს განსაზღვრავს მხოლოდ როგორც რაღაცის წინააღმდეგ მიმართულს, შეიძლება ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე, რის წინააღმდეგაც არის მიმართული. ასეთ საუბარს კი მალე გასდის ყავლი. თუ ამომრჩეველს საქართველოში შეეკითხებინან, თუ რომელი პარტია რას უჭერს მხარს, მათ პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდებოდათ, რადგან პარტიები ძირითადად ერთმანეთზე საუბრით არიან დაკავებული. შემთხვევითი არ არის ის, რომ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც ბოლო არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს, სწორედ ის პარტიებია, რომლებიც საუბრობენ, თუ რას გააკეთებდნენ და არა მხოლოდ იმაზე, თუ რის წინააღმდეგ გამოდიან. ხალხი მათ მოტივებს უკეთ იგებს.

საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ

რამდენ დროს უთმობენ მთავარი სატელევიზიო არხები და ჟურნალ-გაზეთები კონკრეტულ პოლიტიკოსებს, მათი პოპულარობის ხარისხის გათვალისწინებით. ბევრი ძალიან არაპოპულარული პოლიტიკოსია, რომელსაც მედიაში დიდი დრო ეთმობა. ქართულ ტელევიზიაში, ახალ ამბებთან ერთად, ჩვეული ფორმატის გადაცემა ინტერვიუები რამდენიმე პოლიტიკოსთან, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანენ. ამგვარი ფორმატი ტელევიზიისთვის რამდენადმე მომგებიანია: ტელევიზია გამოიყურება როგორც ძალიან დემოკრატიული, რადგან ეთერს უთმობს დაპირისპირებულ მოსაზრებებს; ასეთი გადაცემების გაკეთებას დიდი მომზადება არ სჭირდება, რადგან ბევრ რესურსს, გამოძიებას და კვლევას არ საჭიროებს; ასევე, ტელემარშრუტებს სთავაზობს შეურაცხყოფებებს, ჩხუბს, აგრესიას, რაც სახალისო საყურებელი შეიძლება გამოვიდეს. იქიდან გამომდინარე, რომ მთავრობა ამა თუ იმ გზით აკონტროლებს ნაციონალურ ტელეარხებს, მას შეუძლია უთხრას უცხოელ კრიტიკოსებს, რომ სამართლიანი და დემოკრატიულია, რადგან ოპოზიციას ტრიბუნა ეთმობა. ამგვარი პროგრამები სატელევიზიო საღიჭი რეზინებია. ისინი გვთავაზობენ ცოტა უფრო მეტ გართობას, ვიდრე, ვთქვათ, ფანჯარაში ყურებას და რეალურად არანაირ საკვებს.

ასეთი შოუების შედეგი ის არის, რომ ოპოზიციის ლიდერებს მოაჩვენებს, თითქოს ისინი ინდივიდუალურად მეტად მნიშვნელოვანი არიან. მათი ამბიცია ხდება ტელევიზიაში მოხვედრა და არა ამომრჩეველთან ურთიერთობის დამყარება. ისინი ხდებიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩნდებიან ტელევიზიით და ტელევიზიით ჩნდებიან იმიტომ, რომ წარსულშიც ჩნდებოდნენ. მათ ოპონენტებს ხელისუფლებიდან რეალური სამუშაო და პასუხისმგებლობა მაინც აქვთ. ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო ფაქტი ის არის, თუ რა ცუდად იციან ოპოზიციის ლიდერებმა ის თემა, რომელზეც კამათობენ.

სავარაუდოდ, ასეთი სატელევიზიო გადაცემებს ყველაზე საშიში გრძელვადიანი გავლენა ექნებათ ბავშვებზე. როდესაც ბავშვები ხედავენ ამ გადაცემებს, ექმნებათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკოსებს შორის საუბრის მანერა ის სწორი სალაპარაკო დისკურსია, რომელიც სხვა ადამიანებთან შეიძლება

ჰქონდეთ. ეს ხომ ასე არ არის!

და ბოლოს, ოპოზიციას არ აქვს პასუხისმგებლობა. მთავრობამ და მმართველმა პარტიამ ამას ხელი შეუწყვეს იმით, რომ მათ არ მისცეს საშუალება, რომ სერიოზულ პოსტებზე აერჩიათ. თუ ოპოზიციის წევრი იქნებოდა ქალაქის მერი, ან მინისტრი, ან რამე სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირი, ხალხს ექნებოდა იმისი საშუალება, რომ დაენახა, თუ რისი მიღწევა შეუძლია მას. ახლა ამომრჩეველი ხედავს მხოლოდ იმას, რასაც ამბობენ და არა იმას, რასაც აკეთებენ. ეს კი ოპოზიციონერებს უბიძგებს, საქმის გაკეთების ნაცვლად, უფრო და უფრო არარეალური განცხადებები აკეთონ და ყურადღების მიქცევის გზები ეძებონ. **■**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

**სახელმწიფო მდივნის თანაშემწე
პი ჯიი ჩიოჯის ბიუჯეტი
ვამინბსონში**

ვულოცავ ქართველ ხალხს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას. არჩევნებს აკვირდებოდნენ ეუთო-ს საერთაშორისო დამკვირვებლები, რომელთა შეფასებითაც, ეუთო-სა და ევროსაბჭოს დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით, საქართველოში პროგრესი შეიმჩნევა. გაუმჯობესდა ტექნიკური საკითხები არჩევნების ადმინისტრირებაში. თუმცა, დაფიქსირდა ზოგიერთი დარღვევა ინდივიდუალურ უბნებზე, მათ შორის – ხმების დათვლის პროცესში. იმედს გვაძლევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მზადყოფნა, იყოს უფრო გამჭვირვალე და მოახდინოს რეაგირება საარჩევნო დარღვევებზე. ჩვენ ეუთო-სთან ერთად ვთანხმდებით, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზები არჩევნების პროცესში გამოსწორებას საჭიროებს.

2010 წლის 2 ივნისი
ბანყვეტი საქართველოს შესახებ

ლოხაძეხი ახჩეჰანი

ინტერვიუ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელთან, ლუის ნავაროსთან

თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ტიპის არჩევნებში ხმები ასეთივე პრინციპით გადანაწილდებოდა.



ფოტო: ლუის ნავაროსი

ბატონო ნავარო, წინასწარჩვენო კვლევების გათვალისწინებით, რა შედეგები აღმოჩნდა მოულოდნელი უკვე არჩევნების შემდეგ?

ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაჩვენებელი, რაც არჩევნებზე გამოვლინდა, სხვადასხვა რეგიონში ოპოზიციური პარტიების კანდიდატებზე ხმების განსხვავებული გადანაწილებაა. მაგალითად, თბილისში „ალიანსი საქართველოსთვის“ დომინირებდა, რეგიონებში, მთლიანობაში, სხვებს „ქრისტიან-დემოკრატებმა“ აჯობეს. ახალქალაქში კი „ალიანსს“ „მრეწველებმა“ გაუსწრეს. შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რატომ გააკეთა ასეთი არჩევანი მოსახლეობამ და ეს რაზე მეტყველებს. თუმცა, საინტერესო ფაქტია, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის გარკვეული დოზით ყველამ მოიპოვა მხარდაჭერა.

2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებისას თბილისის ოპოზიციას უჭერდა მხარს, 2010-ში სხვა შედეგები მივიღეთ. თითქოს ამ არჩევნებს უნდა ეჩვენებინა, რომ საზოგადოება ხელისუფლებას პასუხს მოსთხოვს ომისა და საერთაშორისო არენაზე პოპულარობის დაკარგვის გამო. რატომ მოხდა საპირისპირო?

ერთი წლის განმავლობაში ხალხს დრო ჰქონდა, ეფიქრა, ახალი შეფასებები გაეკეთებინა და გადაეწყვიტა, რა მოსწონთ და რისი სჯერათ. შესაძლოა, გადანაცვლეს, რომ გარემო უკეთესობისკენ შეიცვალა.

თუმცა, მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ამ არჩევნებზე ქართველმა მოქალაქეებმა არჩევანი ლოკალურ საკითხებზე დაყრდნობით გააკეთეს. რთულია, ვთქვათ, რა შედეგი იქნებოდა, თვითმმართველობის ნაცვლად, საპარლამენტო ან სხვა ტიპის არჩევნები რომ ყოფილიყო. თვითმმართველობის არჩევნები ხელისუფლებისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, ბევრ ქართველს მიაჩნია, რომ საქართველო არ არის დემოკრატიული ქვეყანა, და ჩემი აზრით, ეს აღქმა არ შეიცვლებოდა ბოლო პერიოდში. მაგრამ მთავარი ის არის, თუ რას ირჩევ ამ კონკრეტულ არჩევნებზე. დასაქმება ყველა არჩევნებზე შეიძლება პრიორიტეტული იყოს. მაგრამ ტერიტორიული მთლიანობა, სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული რეფორმები – ამ საკითხების მოგვარებას ხალხი უფრო პარლამენტისგან ელის, ვიდრე მუნიციპალიტეტისგან.

როგორ იმოქმედებს ეს მხარდაჭერა ხელისუფლებაზე?

ნებისმიერი მთავრობა ყოველთვის საფრთხეშია, დაიჯეროს, რომ დღეს თუ გაიმარჯვა, ხვალაც აუცილებლად გაიმარჯვებს. საფრთხეს საკუთარი ძალების ზედმეტი რწმენა ქმნის. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ვერ ვიტყვი, რა შეიძლება მოხდეს.

ჩვენ მიერ გამოკითხულთა 52% ამბობს, რომ მათ არ მოსწონთ ხელისუფლების მიერ რუსეთთან წარმოებული პოლიტიკა; 32%-ს მოსწონს; 20%-იანი სხვაობაა. ეს გამომწვევაა

ოპოზიციისთვის. ისეთი გამოსავალი უნდა მოიფიქროს, რასაც ამომრჩევლები ითხოვენ. ეს ადვილი არ არის, რადგან გამოკითხულთა ორ მესამედს არც ოპოზიციონერების რუსეთში ვიზიტები მოსწონს. ერთმანეთისგან განსხვავდება პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები. ის, რომ ქართველებს რუსეთთან მთავრობის პოლიტიკა არ მოსწონთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობის წინააღმდეგ მიდინა.

რაზე მეტყველებს ამომრჩეველთა აქტიუობის მაჩვენებელი – დაახლოებით საშუალოდ 50 პროცენტი ამ არჩევნებზე?

ზოგადად, ქვეყნის ნახევარი რომ ხმის მისაცემად მიდის, ეს მაღალი აქტიუობაა. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ნაწილობრივ უკეთესობისკენ შეიცვალა საარჩევნო პროცესი. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი კარგად არის, ან ცუდად. თუმცა, წინა არჩევნებთან შედარებით, წინ გადადგმული ნაბიჯია. ახლა ოპოზიციაც უფრო ძლიერი იყო; ასევე, იყო თვითონ ნება ამომრჩეველთა მხრიდან, რომ არჩევანი დაეფიქსირებინათ. ამ ყველაფერმა ერთობლივად განსაზღვრა ეს აქტიუობა.

რა თქვა ამ არჩევანით მოსახლეობამ; რას მოითხოვს იგი მომავალში ხელისუფლებისგან და ოპოზიციისგან?

ჩვენი გამოკითხვაც გვიჩვენებს, რომ ქართველები ყველაზე მეტ დახმარებას დასაქმებაზე მოითხოვენ, ასევე, ამომრჩევლები ყურადღებას გაამახვილებენ კომუნალური სერვისების ფასებზეც. ჩემი აზრით, მომავალ არჩევნებში ეს საკითხები იქნება აქტუალური. ■

ესაუბრა რუსულად ფანო ზიშვილი



ფოტო: ლუბა სარსულაძე

კოლიჯია

პოლიტიკური წყაღამყოფი

30 მაისის არჩევნები, შესაძლოა, წყაღამყოფი აღმოჩნდეს ოპოზიციის შიგნით: ერთ მხარეს ზომიერი „ალიანსი“ აღმოჩნდეს, მეორე მხარეს კი – რადიკალური ოპოზიცია.

მაია ნიკლაური

სოზარ სუბარმა, რომელმაც 31 მაისს, არჩევნების მეორე დღეს „ალიანსის“ რიგები ოფიციალურად დატოვა, ფაქტობრივად კი არჩევნებს მაშინ გამოეთიშა, როცა ერთი თვით ადრე საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის ბრძოლა შეწყვიტა, რადიონიტრევიუში განაცხადა: „პიტლერის წინააღმდეგ სტალინი და ჩერჩილი ერთად იდგნენ. კარგად ვიცით, ერთი როგორი დემოკრატიც იყო და მეორე როგორი ავტოკრატი. პოლიტიკურ ძალთა დღევანდელ კონფიგურაციაში თუ რაიმე შედეგი იქნება შესაძლებელი, ფიქრი ყველაფერზე შეიძლება“.

ეს იყო სუბარის პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე: გაჩეჩილაძე-ოქრუაშვილი-ბურჯანაძის ალიანსის შექმნის შემთხვევაში ითანამშრომლებს თუ არა ყოფილი სახალხო დამცველი ამ პოლიტიკოსებთან.

ამგვარი ალიანსის შექმნას ჯერჯერობით არც ერთი პოლიტიკოსი არ ადასტურებს, თუმცა სუბარის პასუხიდან

გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად პოლიტიკური პროცესების საარჩევნო სიბრტყეში გადატანის მცდელობისა, ამგვარი რადიკალური ძალის შექმნის აუცილებლობას ქართული პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ხედავს.

როცა სუბარი ამ განცხადებას აკეთებდა, მისი ყოფილი თანაგუნდელი ირაკლი ალასანიას „ალიანსის“ ოფისში სპეციალურ პრესკონფერენციას მართავდა, სადაც 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შედეგები შეაჯამა.

ხმათა 19 პროცენტი, რომელიც „ალიანსმა საქართველოსთვის“ თბილისში დააგროვა, აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა. მთავარი კითხვა – ეს შედეგი „ალიანსის“ შესაძლებლობების მინიმუმი იყო თუ მაქსიმუმი?

პრესკონფერენციაზე ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად „ალიანსის“ დიდი ნაკლოვანებებისა, არჩევნები შედეგა, თბილისმა არჩევანი გააკეთა“; მე-

ტიც, მან თავისი მთავარი ოპონენტის, გიგი უგულავას მხარდამჭერებიც ახსენა და მათ იმედების გამართლება უსურვა. ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის ამ უჩვეულოდ კონსტრუქციული განცხადებით ალასანიას კიდევ ერთხელ შეეცადა ზომიერი პოლიტიკოსის იმიჯი მოერგო, რომელიც ხელისუფლების შეცვლას მხოლოდ კონსტიტუციურ ჩარჩოებსა და ვადებში შეეცდებოდა: „საზოგადოების დიდმა ნაწილმა მხარი დაგვიჭირა. ჩვენი მთავარი გამარჯვება სწორედ ეს არის. „ალიანსი“ გამოიკვეთა, როგორც ყველაზე ძლიერი, უალტერნატივო ოპოზიციური ძალა... მთავარი გამოცდა ჯერ კიდევ წინ გველოდება, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების სახით“.

ალასანიას ეს კონსტრუქციულობა და მის მიერ რამდენჯერმე ნახსენები სიტყვები: „მიღწევა“, „წარმატება“, „გამარჯვება“, ყოფილი თანაგუნდელებისა და დანარჩენი ოპოზიციის მხრიდან მკაცრი კრიტიკის მიზეზი გახდა. მათ ეს უგულა-

ვას შედეგების ლეგიტიმაცია, განგებ დაგეგმილ დამარცხებად და ხელისუფლებასთან გარიგებად აღიქვას.

„ალიანსიდან“ წასული სუბარის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ თბილისში მიღებული 19 პროცენტი, ხოლო საქართველოს მასშტაბით 9 პროცენტი „ალიანსისთვის“, „გამარჯვება“ კი არა, დიდი მარცხია. სუბარი ყოფილ თანაგუნდელებს ადანაშაულებს იმაში, რომ მათ გამარჯვების რეალური შანსი ხელიდან გაუშვეს, რადგან საარჩევნო კამპანია არასწორად დაგეგმეს და მოსაგებად არაფერი გააკეთეს.

„გამარჯვება იქნებოდა ალასანიას მერობა და უმრავლესობა საკრებულოში. ჩვენ ამისთვის ვიბრძოდით“.

სუბარი მიიჩნევს, რომ „ალიანსი“ აგრესიული კამპანია რომ ეწარმოებინა, ბევრად უფრო უკეთეს შედეგს მიიღებდა.

„ჩვენ გამუდმებით არ ვაკრიტიკებდით გიგი უგულავას გაფლანგული ბიუჯეტისა და საარჩევნო კამპანიაში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გამო... უფრო აგრესიული უნდა ვყოფილიყავით; უნდა გამოვსულიყავით და ადამიანების უფლებების დარღვევის კონკრეტული შემთხვევები უნდა გაგვეპროტესტებინა. არ უნდა გავჩერებულყავით, სანამ სათანადოდ არ დასჯიდნენ დამნაშავეებს“, – ამბობს სუბარი.

„ალიანსის“ კიდევ ორი ნაკლებად აქტიური წევრი, რომლებმაც არჩევნების შემდეგ ასევე დატოვეს პოლიტიკური ერთობა, ალასანიას ზომიერ პოლიტიკას აკრიტიკებს. კოკა გუნცაძეს და ირაკლი ბათიაშვილის ჯერ არ უთქვამთ ვისთან ერთად გააგრძელებენ ბრძოლას, თუმცა პარტნიორებს რადიკალურ ოპოზიციაში უკვე ეძებენ.

„დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლევან გაჩეჩილაძის მეგობარი კოკა გუნცაძე ამბობს, რომ ის და გაჩეჩილაძე „გაყალბებული არჩევნების შემდეგ მოლაპარაკებებს ყველა ოპოზიციურ ძალასთან აწარმოებენ“. „ერთ მხარეს არიან ხელისუფლებასთან „შერიგებული“ ძალები, მეორე მხარეს კი ისინი ვართ, ვინც ვიბრძობებთ ხელისუფლების ვადამდე შესაცვლელად“, – ამბობს გუნცაძე.

თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნების დანიშნებით ხელისუფლებამ დაუთმო ოპოზიციას, რომელიც პოლი-

ტიკური ბრძოლისთვის ქუჩას იყენებდა. საარჩევნო მარათონში ოპოზიციის დიდი ნაწილი ჩაერთო. მათ შორის რადიკალური ოპოზიციის ნაწილიც აღმოჩნდა. რადიკალების მეორე ნაწილმა – ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, წინასაარჩევნო სამზადისის ფონზე აქტიულობა დაკარგა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პოზიცია უცვლელია: ის მხოლოდ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

„ქუჩის“ ოპოზიციის მეორე ფრთამ – „ეროვნულმა საბჭომ“ არჩევნებში მონაწილეობით სცადა საკუთარი რეიტინგის შემომწევა. ისინი არ მალავდნენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა ახალი საპროტესტო ტალღის ასაგორებლად სჭირდებოდათ – „ეროვნული საბჭოს“ ლიდერებმა წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაბმისთანავე, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ქუჩაში გასვლის პირობა დადეს.

„ეროვნული საბჭოსა“ და დანარჩენი რადიკალების გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ალასანიას 19-მა პროცენტმა და მის მიერ არჩევნების შედეგების აღიარებამ. ამ პირობებში მე-7 ადგილზე გასული „ეროვნული საბჭო“, რომელიც, ალასანიასგან განსხვავებით, არჩევნების შედეგებს უნდობლობას უცხადებს, ოპოზიციური ელექტორატის ქუჩაში გამოყვანას ვერ შეძლებდა.

„ეროვნული საბჭო“ და სხვა პოლიტიკური მოთამაშეები, რომლებსაც „ალიანსის“ კონსტრუქციულობა ხელს უშლით, შეეცდებიან სხვა პოლიტიკური პარტნიორები მოძებნონ.

განათლების ყოფილი მინისტრი, პოლიტოლოგი გია ნოდია ამბობს, რომ არჩევნების შემდეგ რადიკალური ძალების გააქტიურება მოსალოდნელია, რადგან მათ „მარგინალიზაციის საფრთხე“ იგრძნეს.

„არჩევნების შედეგებით გამოჩნდა, რომ მოსახლეობა ზომიერ და კონსტიტუციურ მეთოდებზე ორიენტირებულ პოლიტიკას ირჩევს. თუ პოლიტიკური მდგომარეობა ნორმალურ კონსტიტუციურ საზღვრებში დაბრუნდება, ამ სივრცეში რადიკალების ადგილი აღარ იქნება“, – ამბობს ნოდია.

2010 წლის აპრილში NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, გამოკითხულთა 44 პროცენტი სწორედ ზომიერ

პოლიტიკას უჭერს მხარს, რადიკალურს კი – მხოლოდ 18.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ალასანია და „ალიანსი“ ახლა საინტერესო პოზიციაზე იმყოფებიან იმისათვის, რომ რადიკალურ ძალებს გაემიჯნონ და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ პოლიტიკურ სივრცეში.

ამავე დროს ალასანიას კონსტრუქციული შეფასებები და მისი ზომიერი პოლიტიკა იმის საფრთხესაც ქმნის, რომ იგი ხელისუფლების სატელიტად აღიქვან. ეს საფრთხე ალასანიას ოპოზიციაში გადასვლისთანავე გაჩნდა და მის თავიდან ასაცილებლად ოპოზიციონერმა ალასანიამ არაერთი რადიკალური ნაბიჯი გადადგა – ხან აპრილის ქუჩის აქციებში მონაწილეობდა, ხანაც, ოპოზიციის გაერთიანების საბაბით, ყველაზე რადიკალურ ძალებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

PR ტექნოლოგი სოსო გალუმაშვილი ამბობს, რომ „არჩევნებზე მიღებული შედეგი „ალიანსისთვის“ და მისი ლიდერისთვის მოსახლეობის მიერ მიცემული „ფორაა“, რათა ამ ძალამ დამოუკიდებელი და თანმიმდევრული პოლიტიკა აწარმოოს“.

ირაკლი ალასანიამ უკვე განაცხადა, რომ საკუთარ პარტიასთან და „ალიანსის“ სხვა წევრებთან ერთად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და რეგიონებში, რომლებიც სრულიად იგნორირებული იყო „ალიანსის“ მიერ, პარტიული სტრუქტურის განვითარებასა და მეტი მხარდაჭერის მოპოვებას გეგმავს.

თვითმმართველობის არჩევნების ეიფორია დასრულდა. სავარაუდოდ, გაყალბებული შედეგების გასაპროტესტებლად რადიკალური ოპოზიცია ხალხს ქუჩაში უკვე ვეღარ გამოიყვანს, თუმცა არც ხელისუფლების ვადამდე შეცვლის მცდელობებზე აიღებს ხელს. პრესაში გაგრძელებული ახალი რადიკალური ალიანსის კონტურები, რასაც ჯერ არავინ ადასტურებს, შესაძლოა, უფრო მკაფიო გახდეს.

2012 წლამდე „ალიანსი“ და მის ლიდერს მუდმივად ექნებათ ცდუნება დაუშვან შეცდომა და ან ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილთა იარლიყი დაიმსახურონ, ან რადიკალებთან ერთად აღმოჩნდნენ. ეს რისკი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ „ალიანსი“ ისეთივე არათანმიმდევრული იქნება, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში იყო. □



ინგა გრიგოლია

ფოტო გარიას შორიაშვილი



ზურაბ აბაშიძე

ფოტო ლევან ხინჯაშვილი



ნიკა კუკავა

ფოტო ლევან ხინჯაშვილი



კობა დავითაშვილი

ფოტო ლევან ხინჯაშვილი

ოპოზიციის საკრებულოში

ხოზოხს მინიშნა, ფეხბუხითის ბუნდი

საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილი ოპოზიციონერების რაოდენობა ფეხბურთის გუნდის შესაქმნელად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ – არა პოლიტიკური ამინდის.

ნინო გოგუა

ოპოზიციური პარტიები საკრებულოში უმცირესობაში არიან. დაპირისპირების შემთხვევაში, პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენა შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს.

თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ოპოზიციამ დედაქალაქის საკრებულოში მხოლოდ 11 მანდატი მოიპოვა, თუმცა 2002 წლის შემდეგ ეს მაინც ყველაზე მრავალპარტიული საკრებულო იქნება თბილისში.

„ალიანსი საქართველოს“ 5 კანდიდატი, „ქრისტიან-დემოკრატების“ – 3, „ეროვნული საბჭოს“ – 2 და „მრეწველების“ – 1 წარმომადგენელი მუშაობას იენისის ბოლოდან დაიწყებენ.

რა შეუძლია 11-კაციან ოპოზიციას 50-მანდატიან საკრებულოში, სადაც უმრავლესობას – 39 მანდატს „ნაციონალური მოძრაობა“ ფლობს?

წინასაარჩევნო პერიოდში „გარდა-მტეხი პოლიტიკური ბრძოლისთვის“

და მერის სავარძლის მორგებისთვის შემართული ოპოზიცია ამბობს, რომ პოლიტიკურ პროცესებში გარდატეხის შეტანა საკრებულოდან, „ნაციონალი“ მერის პირობებშიც შესაძლებელია.

ყველაზე ხმაურიანი წინასაარჩევნო დაპირების ავტორები – „ქრისტიან-დემოკრატები“, ტარიფების გაიფხვებისთვის ბრძოლას სამკაცინი შემადგენლობითა და უგულავას მხარდაჭერით აპირებენ.

„უგულავამ თქვა, რომ ოპოზიციის შემოთავაზებას გაითვალისწინებს. თუ ეს მორიგი დემაგოგია არ არის, ჩვენ დავუმტყიცებთ, რომ ტარიფების გაიფხება რეალურია“, – აცხადებს საკრებულოს წევრი, „ქრისტიან-დემოკრატების“ სიის პირველი ნომერი, ინგა გრიგოლია.

თუ გიგი უგულავა გიორგი ჭანტუ-რიას წინასაარჩევნო დაპირების შესრულებაში მონაწილეობას არ მიიღებს, ზომიერი „ქრისტიან-დემოკრატები“ საკრებულოს შენობასთან მასობრივი დემონსტრაციების მოწყობას გეგმავენ.

აქციების გამართვით იმუქრება „ეროვნული საბჭოც“, რომლის წევრებსაც ამ საქმიანობაში დიდი გამოცდილება აქვთ. თუმცა, საკრებულოში გასული კუკავა-დავითაშვილი ხალხს უკვე საკუთარი წინასაარჩევნო დაპირების – ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მოთხოვნით შეკრებს.

„თბილისელების 95 პროცენტის დაკვეთა ხელმისაწვდომი ჯანდაცვაა. ამ ხალხის დიდ ნაწილს საკრებულოს შენობის წინ დაეაყენებთ“, – იმედოვნებს კახა კუკავა.

წინა მოწვევის საკრებულოში ოპოზიციიდან მხოლოდ ორი დეპუტატი მოხვდა – „სახალხო პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი და „ლეიბორისტი“ პაატა ჯიბლაძე.

ჯიბლაძეს, რომლის პარტიამ ამჯერად თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, 11-კაციანი ოპოზიციის რეგულაციური გეგმების არ სჯერა.

„2008 წლის გაზაფხულზე აქციებზე 300 ათასი ადამიანი იდგა და ამას ხელისუფლებაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. „რესპუბლიკელები“ და „ახალი მემარჯვენეები“ 2008 წელს პარლამენტში არ შევიდნენ იმ მიზეზით, რომ უმცირესობაში ვართ და იქ ყოფნას აზრი არ აქვსო, და ნეტა ახლარისი იმედი აქვთ?“ – ამბობს ჯიბლაძე.

„ალიანსი“ შეეცდება, განსხვავებული სტრატეგია ჰქონდეს: „როცა ოპოზიციაში გამოკვეთილი ლიდერი ხარ, უფრო მაღალია პასუხისმგებლობაც. თუმცა, როდესაც უმცირესობაში ხარ, ბუნებრივია, ის გეგმები იცვლება, რომელიც წინასაარჩევნო კამ-

პანიის დროს გვექონდა. საკრებულო უნდა იყოს მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტი ცენტრალური ხელისუფლების თავგასულობის წინააღმდეგ და თბილისის ბიუჯეტი ხალხის სამსახურში უნდა ჩადგეს“, – აცხადებს ხიდაშელი.

უმცირესობაში ყოფნა პირველი ფაქტორია, რაც ოპოზიციას შესაძლებლობას ართმევს ისევე ეფექტურად გამოიყენოს საკრებულო, როგორც ეს მიხილ სააკაშვილმა 2002 წელს გააკეთა.

სწორედ საკრებულოდან იწყება მიხილ სააკაშვილის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლა. კონსულტაციების შედეგად 2002 წლის 4 ნოემბერს „ლეიბორისტულმა პარტიამ“ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს დაუჭირა მხარი და სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე, უმრავლესობაში აღმოჩნდა. „ლეიბორისტულ პარტიაში“ მყოფი ზურაბ ჟვანია მის მოადგილედ დაინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციურ ფრაქციებს შორის დაპირისპირება პირველივე დღიდან დაიწყო, მრავალპარტიულ საკრებულოს „შევარდნაძის რეჟიმის დასასრულის დასაწყისად“ აფასებდნენ პოლიტიკოსები. „ჩვენ შევძლებთ, რომ ქალაქს უფასო სასწრაფო დახმარება ემსახურობოდეს და დანყებითი კლასების მოსწავლეებს უფასო სახელმძღვანელოები დაუ-

რიგდეთ. ზოდელავასთან (თბილისის მაშინდელი მერი) ძალიან პრინციპული საუბარია საჭირო! დავაყენებთ ქალაქის მთავრობის იმპიჩმენტის საკითხსაც“, – აცხადებდა მიხილ სააკაშვილი. თუმცა, ხელისუფლების შეცვლა ოპოზიციამ მხოლოდ მასობრივი ქუჩის აქციებით შეძლო.

ოპოზიციური ფრაქციების ურთიერთობა არანაკლებ მწვავე საკითხი შეიძლება აღმოჩნდეს ახალ საკრებულოშიც.

„საკრებულოში „ქდმ“-ს იმედი არ მაქვს. თუ გრიგოლიას ექნება რაიმე დამოუკიდებელი ინიციატივები, არ გამოვირიცხავ ჩვენ სასარგებლოდ იყოს აქტიური. ინგა პრაგმატული, ანგარიშიანი ადამიანია და არ მგონია, შეცდომა დაუშვას“, – აცხადებს კახა კუკავა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ პირველ რიგში გიგი უგულავასთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობენ და მხოლოდ შემდეგ – საკრებულოში ოპოზიციის ერთიან სტრატეგიაზე.

„ის ფაქტი, რომ მესამე ადგილზე გავედით, ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ გვიქმნის სასათბურე პირობებს. სხვებისგან განსხვავებით, არჩევნებისას „ქრისტიან-დემოკრატებს“ ორ ფრონტზე გვინევდა ბრძოლა – ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ერთნაირად ვუპირისპირდებოდით“, – ამბობს გრიგოლია.

საკრებულოს 11 ოპოზიციონერ წევრს ფეხბურთის გუნდით შესათამაშებლად თვეზე ნაკლები რჩება. ახალი საკრებულო უკვე ივნისის ბოლოს შეიკრიბება. დაიწყება ფრაქციების, კომისიების ჩამოყალიბების, საკრებულოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის შერჩევის პროცედურები.

უმცირესობაში დარჩენილი ოპოზიცია ჯერჯერობით თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ ეტაპზე მათ მხოლოდ საკრებულოში მიმდინარე პროცესების საჯაროდ გამოტანის შესაძლებლობა მოიპოვეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ესეც ხელისუფლების კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია, ოპოზიცია პოლიტიკურ თამაშში ჩართვას, სავარაუდოდ, საზოგადოებრივი აზრის შექმნის გზით შეეცდება. **□**

სახეჯალს ოპოზიციის

„ალიანსი საქართველოსთვის“

თინა ხიდაშელი
დავით საგანელიძე
ზურაბ აბაშიძე
ნათელა მაჭავარიანი
ვიქტორ დოლიძე

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“:

ინგა გრიგოლია
ჯაბა სამუშია
ზაზა გაბუნია

„ეროვნული საბჭო“

კახა კუკავა
კობა დავითაშვილი

„მრენველანი“

გიორგი ტყემალაძე

საარჩევნო დარღვევები

დიპლომატიური შეფასება

„კოორდინატორი ქალები უბნებზე“, უხეში დარღვევები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და პირადობის მონმებების არქონა საპატიმროებში, 2010 წლის არჩევნების ყველაზე სერიოზულ ხარვეზებად ჩაითვალა.

რუსუდან ფანოზიშვილი



„ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორები, 30 მაისი 2010

„საარჩევნო უბანზე მისულმა ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ურნაში, ბიულეტენის ნაცვლად, პირადობის მონმობა ჩააგდო. მეორეგან კომისიის წევრებმა დამკვირვებელი იარაღით დააშინეს... ერთ-ერთ უბანზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 100 პროცენტზე მეტი დააგროვა – 500 რეგისტრირებული ამომრჩეველიდან 550 ხმა მიიღო“, – იხსენებს მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ პრეზიდენტი არნოლდ სტეპანიანი, რომლის 320 დამკვირვებელიც 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლს აკვირდებოდა. ამ ორგანიზაციამ თითქმის ყველა რაიონი მოიცვა, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. სწორედ ამ რეგიონებში დაფიქსირდა ყველაზე დიდი რაოდენობის და სერიოზული სახის დარღვევები არჩევნების დღეს.

■ „მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები დაფიქსირდა ხმების დათვლის ერთ მეოთხედზე მეტ შემთხვევაში“, – აღნიშნულია დამკვირვებლების დასკვნაში.

მიუხედავად ამ დარღვევებისა, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნები ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, საქართველოში აქამდე ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით, ყველაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს. თუმცა, იგივე ორგანიზაციებმა უამრავი დარღვევაც აღრიცხეს, რომლებიც, მათი შეფასებით, ამ საარჩევნო პროცესს „სერიოზულ ჩრდილს აყენებს“. არჩევნების დღემ, 30-მა მაისმა, დამკვირვებლების ზოგადი შეფასებით, განსაკუთრებული ხმაურის გარეშე ჩაიარა, თუმცა, ამ „სიმშვიდემ“ მათ ამომრჩეველთა ნების გამოვლენაზე კონტროლი,

კენჭისყრის შედეგების მიზანმიმართული გაყალბება, დამკვირვებლებზე ფიზიკური და სიტყვიერი ზეწოლა, საარჩევნო პროცედურების დარღვევის არაერთი ფაქტი მაინც აღრიცხეს. წლეგანდელი არჩევნების მთავარი „აღმოჩენა“ კი პოლიტიკური პარტიის „კოორდინატორი ქალები“ იყვნენ. ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ და ზოგჯერ „ქრისტიანდემოკრატების“ მომხრეები 30 მაისს განსაკუთრებულად აქტიურობდნენ და იმ ადამიანების სახელს, გვარს და კოორდინატებს ინიშნავდნენ, ვინც მათ პარტიას ხმა მისცა. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების გადმოცემით, ამ სიე-

ბში ზოგი სახელის და გვარის გასწვრივ დაპირებებიც ეწერა; მაგალითად, ასეთი: „შვილისთვის სამსახური უნდა“. „კოორდინატორებისა“ და მმართველი პარტიის შეფასებით, ეს აღრიცხვა კანონსაინა-ალმდეგ არ არის. „სამართლიანმა არჩევნებმა“, საია-მ და ეუთო-მ კი „კოორდინატორების“ მიერ არამხოლოდ არჩევნების დღეს, წინასაარჩევნო პერიოდშიც გამოჩინო განსაკუთრებულ აქტივობას ფსიქოლოგიური ზეწოლა უწოდეს.

„ერთმა ქალმა დარეკა რადიოეთერში ჩემი გამოსვლის დროს და მითხრა, – მე ორჯერ მივეცი გიგი უგულავას ხმა და ღმერთმა შეარგოსო“, – იხსენებს ეკა სირაძე, „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი, რომლის წარმომადგენლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით 1100 უბანს აკვირდებოდნენ. გიგი უგულავას მხარდამჭერმა რადიომსმენელმა კი ახსნა, რომ თურმე ჯერ, წინასაარჩევნო პერიოდში მასთან მისულმა კოორ-

დაც თვითონ ერთ-ერთი დამკვირვებელი იყო, „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორები თითქმის ყოველ 5 წუთში ერთხელ ურეკავდნენ ამომრჩეველებს და ეუბნებოდნენ, არჩევნებზე მისულებს ნენ. იქიდან გამოსულებს კი ბიულეტენის ნომრებსაც ეკითხებოდნენ. მასაც მიაჩნია, რომ კოორდინატორებმა არჩევნების დღეს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს.

„თუ ამ შემთხვევაში დაშინებას ან რამე მსგავსს ჰქონდა ადგილი, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, ზეწოლა“, – ამბობს ეუთო-ს ელჩი ოდრი გლოვერი და აღნიშნავს, რომ ზეწოლისა და დაშინების შესახებ ინფორმაცია მის ორგანიზაციას ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ჰქონდა.

„საარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ისეთი ხარვეზები, რომლებმაც მოსახლეობის ნდობა ვერ აამალა საარჩევნო პროცესის მიმართ“, – აღნიშნა ევროსაბჭოს წარმომადგენელმა გიუნტერ კრუგ-

ქართველოს“ შეფასებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაახლოებით ისეთივე მასშტაბის დარღვევები გამოვლინდა, როგორც ადრე.

წელს საპატიმრობებში უარესი მდგომარეობა გამოავლინეს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დამკვირვებლებმა.

წელს წინასწარ პატიმრობაში მყოფი 1 080 რეგისტრირებულიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ხმა მხოლოდ 1-მა პატიმარმა მისცა. 2-მა თვითონ თქვა უარი, დანარჩენებმა კი თავიანთი საკონსტიტუციო უფლება ვერ გამოიყენეს – „ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, მათ პირადობის მონმობები არ ჰქონდათ, რადგან პროკურატურაში იყო საქმეების განსახილველად გადაგზავნილი“, – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ხელმძღვანელი ვახტანგ კობალაძე. თუმცა, ფაქტია, რომ პროკურატურიდან დაკავებული პირები არჩევნებისთვის პირადობის მონმობების გამოტანას თვითონ ვერ შეძლებდნენ და ამაზე თვითონ სასჯელალსრულების ადმინისტრაციას უნდა ეზრუნა.

ცესკო-ში შესული საჩივრებიდან კომისიამ 15 საჩივარი დააკმაყოფილა, 13 – ნაწილობრივ. არ დააკმაყოფილა – 63 საჩივარი, ნაწილობრივ დააკმაყოფილა – 13, არ დააკმაყოფილა – 63, 30-ს კი, საჩივრის უსაფუძვლობის ან საჩივრის განხილვის ვადის გასვლის გამო, უარი ეთქვა განხილვაზე. თუმცა დამკვირვებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად რამდენიმე უბანზე შედეგები გაბათილდა და, რადგანაც ეს თვითმმართველობის არჩევნებია, ცალკეულ სოფლებში გასაჩივრების შედეგად მიღწეული ცვლილებები, არ არის გამორიცხული, შედეგებზეც აისახოს. რაც შეეხება თვითონ არჩევნების განმავლობაში მომხდარ დარღვევებს, ალბათ საბოლოო სურათს ისინიც დიდად ვერ შეცვლიდნენ, რადგან მერისა და პროპორციულ არჩევნებში პირველ და დანარჩენ ადგილზე მყოფი პარტიების მიერ დაგროვებული ხმების რაოდენობა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. „თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საქმე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან გვაქვს და, შესაბამისად, მაჟორიტარული წესით გამართულ არჩევნებში სურათი ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს“, – ამბობს ეკა სირაძე. [

■ წელს წინასწარ პატიმრობაში მყოფი 1 080 რეგისტრირებულიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ხმა მხოლოდ 1-მა პატიმარმა მისცა.

დინატორმა მისი მონაცემები, პირადი ნომერი ჩაინერა, მან კი კოორდინატორს ფურცელზე ხელიც მოუწერა, ანუ „ხმა მისცა“. მეორედ კი იგივე იმ ქალბატონს საარჩევნო უბანზე გაუმეორებია. ასეთივე „ორჯერ ხმის მიცემის“ შემთხვევები დამკვირვებლებმა რეგიონშიც დააფიქსირეს. „ფსიქოლოგიური ამბავია: ერთხელ რომ „კოორდინატორის“ თანდასწრებით იმ ქალმა „გიგის ხმა მისცა“, მეორედ საარჩევნო უბანზეც დარწმუნებული იქნება, რომ იგივე კანდიდატი უნდა შემოხაზოს. შემომედავებიან: საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველი გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებსო, მაგრამ ეს ინფორმირებულ ამომრჩეველზეა ნათქვამი, რომელმაც საკუთარი უფლებები იცის. ჩვენი პრობლემა კი სწორედ ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ასე ამომრჩეველს აქვს აღქმა, რომ იგი ვალდებულია საარჩევნო კაბინაშიც იგივე გააკეთოს, რადგანაც უკვე რაღაც სიაზე აქვს ხელი მოწერილი“, – ამბობს ეკა სირაძე.

იურისტი თამარ გურჩიანი იხსენებს, რომ ნაძალადევის ოლქის უბნებზე, სა-

მა საარჩევნო პროცესის შეფასებისას.

ეუთო-სა და ევროსაბჭოს „კონგრესის“ დამკვირვებლებმა არჩევნების დღეს სხვა დარღვევებთან ერთად ჯგუფურად ხმის მიცემის, ერთდროულად ბევრი ბიულეტენის ჩაყრის ფაქტები გამოავლინეს. თუმცა, ამ ორგანიზაციებმა ყველაზე უარყოფითად შეაფასეს თვითმმართველობის არჩევნებზე ხმის დათვის პროცესი. ეს იყო „ცუდი ან ძალიან ცუდი. მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები და გამორჩენები დაფიქსირდა ხმების დათვის ერთ მეოთხედზე მეტ შემთხვევაში“, – აღნიშნულია დასკვნაში.

ბოლო მონაცემებით, საარჩევნო კომისიაში სხვადასხვა ორგანიზაციის და პოლიტიკური პარტიების სახელით 232 საჩივარი შევიდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა წელს, წინა წლებთან შედარებით საჩივრების უფრო მეტი რაოდენობა შეიტანეს. „უკვე ვიცოდით, სად იქნებოდა პრობლემები და როგორ უნდა დავკვირვებოდით. უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს და კონკრეტული ფაქტების დაფიქსირება შეეძლებოდა“, – ამბობს არნოლდ სტეპანიანი. „მრავალეროვანი სა-

ახიზნები 2010 - ხანდი ოთხი



ის, თუ როგორ წარიმართება საარჩევნო პროცესი, ხელისუფლებისათვის დემოკრატიულობის ხარისხის ინდიკატორია.

კაკი სირაძე-დელონე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი

რამდენად იქნება მმართველი პარტია მზად, რომ არჩევნების წაგების შედეგად, დათმოს ხელისუფლება და რამდენად იქნებიან წაგებული პარტიები მზად ღირსეულად აღიარონ დამდგარი შედეგი, ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური თვითშეგნების ხარისხზე მიანიშნებს. ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველო, არჩევნები მუდმივად დემოკრატიულობის ტესტად აღიქმება. განსაკუთრებული ყურადღება, როგორც წესი, კენჭისყრის დღეზე გადატანილი. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია საარჩევნო პროცესების შეფასება, თუ სრულად არ გავითვალისწინებთ წინასაარჩევნო პერიოდში განვითარებულ პროცესებსა და არჩევნების შემდგომ პროცედურებს.

ჩვენ 2010 წლის 1 აპრილიდან ვაკვირდებოდით წინასაარჩევნო პერიოდს საქართველოს 73-ივე ოლქში, ხოლო არჩევნების დღეს – 1100 საარჩევნო უბნის დამკვირვებლის, 73 საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის, 73 მობილური ჯგუფისა და 15 იურისტთა ჯგუფის მეშვეობით.

კენჭისყრის დღემ სრულად ასახა წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული ტენდენციები. არჩევნების დღეს, ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, აშკარად გამოიკვეთა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ხელისუფლების მცდელობა, მიეღო დადებითი შეფასებები საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მცდელობას არჩევნების შემდგომ პერიოდში თან უნდა ახლდეს ნების აშკარა დემონსტრირება, სწორედ ეს გახდება არჩევნების საბოლოო შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად შეინიშნებოდა რამდენიმე დადებითი ტენდენცია, კონკრეტულად: პარტიების მიერ ამომრჩეველთა სიის გადამოწმება და ცესკოს მუშაობა გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, ცესკოს პარტიულ წევრთა ჩარ-

თვა/ინფორმირება ცესკოს საქმიანობებში, არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართვა რეკომენდაციების შემუშავების ნაწილში (ამომრჩეველთა სიისა და IT ტექნოლოგიების ჯგუფები) და სხვა. თუმცა კენჭისყრის დღეს გამოვლინდა გარკვეული ტენდენციები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ არჩევნების დღის დადებითად შეფასებას. ესენია:

▶ საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების აქტივისტთა მასშტაბური აგიტაციის ფაქტები. ორგანიზაციისათვის რთულია იმის გაზომვა, თუ რა ზეგავლენა იქონია ამან ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე.

▶ საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის მოხელეთა არაშესაბამისი კვალიფიკაციის დონე და მათი არასათანადო ტექნიკური უზრუნველყოფა, რამაც საშუალოდ დადებითად არ იმოქმედა ზოგადად ამომრჩეველთა ნდობის ამაღლებაზე საარჩევნო პროცესებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ.

▶ არჩევნების დღეს დაფიქსირებული სერიოზული დარღვევები: დამკვირვებელთა უბანზე არდაშვება, მათზე ზეწოლა/მუქარა, სხვისი პირადობის მონიშნებით ხმის მიცემა, ხელოვნურად გაზრდილი ამომრჩეველთა რაოდენობა სიის დანართში, ამომრჩეველთა სიებში არსებულ ხელმოწერებთან შედარებით, ზედმეტი ბიულეტენების რაოდენობა საარჩევნო ყუთში. ასეთი კატეგორიის დარღვევებს, ტექნიკურ შეცდომებს ვერ ვუნოდებთ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის დარღვევებს მასშტაბური ხასიათი არ ჰქონია.

საარჩევნო ოლქებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივრების განხილვის პროცესის დაკვირვების შედეგად, იკვეთება ტენდენცია, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან არაკომპეტენტურობის ან/და ტენდენციურობის შედეგია. 2010 წლის 15 მაისს, საარჩევნო ადმინისტრაციის 49 000-მდე მოხელის

მიერ დემონსტრაციულად ხელმოწერილმა ეთიკის კოდექსმა შინაარსობრივი დატვირთვა ვერ მიიღო და მხოლოდ „პიარის“ ნაწილად დარჩა.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალური შეჯამებისთანავე, ხელისუფლების, პოლიტიკური სუბიექტებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან უნდა გამოიხატოს მზაობა და სურვილი, რათა მომავალი არჩევნები ჩატარდეს უკეთეს საკანონმდებლო და პოლიტიკურ გარემოში. მოხდეს დემონსტრირება იმისა, რომ ხელისუფლება მზადაა ყველა საარჩევნო სუბიექტი უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი საარჩევნო პირობებით, ხოლო საერთაშორისო დოკუმენტების ინტერპრეტირება მოხდეს მათი არსითა და სულისკვეთებით და არა მხოლოდ ფორმალურად. ამისათვის ვთვლით, რომ:

- ▶ აუცილებელია დაიხვეწოს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ნაწილზე;
- ▶ გაგრძელდეს მუშაობა ამომრჩეველთა ერთიანი სიის დახვეწაზე და უზრუნველყოფილი იყოს ამ პროცესში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა;
- ▶ გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამომრჩეველთა განათლების დონისა და ინფორმირების ამაღლების კუთხით;
- ▶ გაიზარდოს არჩევნების დანიშნის ბოლო ვადა, რათა მოესწროს არჩევნებისათვის შესაბამისი მომზადება;
- ▶ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის ამაღლების მიმართულებით. □

აბსოლუტური ძაღუფი

ჯერ კიდევ გვიჭირს გავიაზროთ, რომ მხოლოდ სხვადასხვა ძალაუფლებრივ ჯგუფს შორის ბალანსით შევძლებთ დემოკრატიულ სისტემად გარდაქმნას და ბრმად ვუჭერთ მხარს და ყველაფერში ვენდობით ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს.

გიორგი ცხადაია

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ თბილისში ხმების დაახლოებით 55% დააგროვა. ეს ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რადგან 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე თბილისში ოპოზიციამ გაიმარჯვა. ხელისუფლების რეიტინგი კი მას შემდგომ აგვისტოს ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო მეტად შეამცირა. ხელისუფლებამ იმის შიშით, რომ არჩევნებს დამაჯერებლად ვერ მოიგებდა, 30%-იანი ბარიერი დაანენსა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხმების აბსოლუტური უმრავლესობის (50% + ხმას) მიღების და მეორე ტურის ჩატარების გარეშე, შეძლებდა გამარჯვებას. ამ ფონზე, ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება, ერთი შეხედვით, მართლაც უცნაურად გამოიყურება.

ჩემთვის თანაბრად საინტერესო იყო ის მიზეზები, თუ რატომ გადასცეს ხელისუფლების მომხრეებმა მას ნდობის მანდატი ხელახლა და რატომ აღარ დაუჭირეს ოპოზიციას მხარი მისმა ძველმა მომხრეებმა.

ხელისუფლების ტრადიციული მომხრეების მოქმედება ამ არჩევნებში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უპასუხისმგებლო იყო. მათ არ მოსთხოვეს პასუხები ხელისუფლებას თავის შეცდომებზე და კვლავ არანორმალური ნდობა გამოუცხადეს. ამომრჩევლის ის ნაწილი, რომელსაც პროდასავლური კურსი მოსწონს, ამ შემთხვევაში, მხარს უჭერს არა პროდასავლურ მოდელს, არამედ ამ მოდელის საქართველოში გამავრცელებელი მისიონერების – პროდასავლური სახელისუფლებო ელიტის საქმიანობას. ხელისუფლების მიმართ უკრიტიკო დამოკიდებულება სწორედ ამგვარი მიდგომით აიხსნება: მათ აინტერესებთ არა ის, თუ რეალურად რამდენად განხორციელდება დემოკრატიის



და ეკონომიკური განვითარების იდეები, არამედ ის, რომ ხელისუფლებაში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ იდეალების დეკლარირებას ახდენენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მისიონერების როლი კარგად მოირგეს და საკუთარ თავს მოდერნიზაციის ისეთ აბსოლუტურად სახავენ, რომლებსაც კულტურულად ჩამორჩენილ საზოგადოებაში უნევთ მმართველობა. ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვეული პოზიცია არის იმისი განცხადება, რომ მათ იციან ერთადერთი სწორი გზა დასავლეთისკენ და ამომრჩეველმა მხარი იმიტომ უნდა დაუჭი-

როს, რომ მათ გარეშე ქვეყანა ველურ 90-იან წლებს დაუბრუნდება. ხელისუფლების ტრადიციული ამომრჩეველიც სწორედ ამგვარი კატეგორიებით აფასებს პოლიტიკას. მისთვის მნიშვნელოვანია აქვს კონკრეტულ სახელებსა და გვარებს და არა პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც ამა თუ იმ პარტიისა თუ კანდიდატის თვისებებზე მეტყველებს. პოლიტიკოსის ამგვარი შეფასება არ ეფუძნება იმ შედეგებს, რომელიც მისმა ქმედებებმა გამოიწვია, არამედ შინაგან რწმენას, რომ მისი კურსი კონკრეტული იდეისთვის უფრო მეტის მომტანია, ვიდრე სხვა პოლიტიკოსის.

დასავლეთში დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყვნის“. დასავლელ მოქალაქეს გააზრებული აქვს, რომ მთავრობა საკუთარი ინტერესების მქონე ორგანიზაციაა, ხოლო ადამიანი, რომელიც ძალაუფლებას ფლობს, იმ საეჭვო პირების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც გამუდმებით უნდა შეამოწმო.

ადამიანური ბუნების და საზოგადოების კარგად შესწავლამ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ფრანგი ფილოსოფოსი შარლ-ლუი მონტესკიე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მმართველობის ყველაზე საუკეთესო ფორმა ის არის, რომელშიც ძალაუფლება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის არის გადანაწილებული. ასე გაჩნდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების იდეა. მოგვიანებით, ამერიკის დამფუძნებელმა მამებმა ე.წ. „ფედერალისტის წერილებში“ ამ იდეის დამუშავება გადაწყვიტეს. ჯეიმს მედისონმა ფედერალისტის 51-ე წერილში განაცხადა: „თუ ადამიანები ანგელოზები იქნებოდნენ, არც ერთი მთავრობა აღარ დაგჭირდებოდა. თუ ანგელოზები ადამიანების მართვას დაინწყებენ, არც გარეგანი და არც შინაგანი კონტროლი მთავრობაზე აუცილებელი აღარ იქნება“.


მედისონის ამ ციტატიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებას სჭირდება

მოქმედებს. ამ პირობებში, შეიძლება ინტერესების დაბალანსების პრაგმატული პოლიტიკის წარმოება. სამწუხაროდ, ხელისუფლების მომხრე ამომრჩეველმა ვერ მოახერხა იმისი გააზრება, რომ პროდასავლური ოპოზიციის გაძლიერება დემოკრატიისთვის მომავალში სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნებოდა.

ოპოზიციის ტრადიციული მომხრეების არჩევანი ადგილობრივ არჩევნებზე, მართალი გითხრათ, ბოლომდე გაუგებარია. ოპოზიციური ამომრჩევლის რაღაც ნაწილმა არჩევნებისადმი ნდობა დაკარგა, რადგან ხელისუფლება, ტრადიციულად, ადმინისტრაციული და მედია რესურსების გამოყენებით ადვილად აღწევს ხოლმე გამარჯვებას. ამ პირობებში, ზოგიერთი ოპოზიციის მომხრის აზრით, ოპოზიციური პარტიების გადანწყვითლება, რომ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა, წამგებიანია, რადგან ამით ისინი ხელისუფლებას არჩევნების და საკუთარი გამარჯვების ლეგიტიმურად ცნობაში დაეხმარებიან. საინტერესოა, ამ ლოგიკით რა უნდა იყოს გამოსავალი: მიტინგები, არჩევნების ბოიკოტი თუ სახელმწიფო გადატრიალება? პირველი ორის მიმართ ოპოზიციის მომხრეების გარკვეულ ნაწილს ნიჰილისტური დამოკიდებულება უკვე გაუჩნდა და მესამეს ხმამაღლა განცხადებას ვერ ბედავენ. არადა, გასულ წელს ქვეყანა წამდვილად იდგა საფრთხის ზღვარზე, როდესაც დინამოს სტადიონზე

მომხრეების გარკვეული ნაწილი, როგორც ჩანს, ამ ახალ რეალობას ჯერ სათანადოდ ვერ მოერგო და პოლიტიკური ბრძოლის ახალ რეჟიმზე, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას და გამარჯვებას გულისხმობს, ვერ გადაერთო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით არასდროს მომხდარა, ამიტომ, ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების ნაწილს მტკიცედ აქვს ჩანერგილი რწმენა, რომ არჩევნებით ვერაფერს შეცვლის.

ოპოზიციის მხარდამჭერების ის ნაწილი, რომელიც არჩევნებს არ ენდობა და, მისი სამართლიანად უზრუნველყოფის ნაცვლად, ალტერნატიულ არაკანონიერ გზებზე ფიქრობს, ასევე ქმედებაზე ორიენტირებული ადამიანები არიან და არა შედეგზე. ჩვენს შემთხვევაში, წამდვილი შედეგის მიღწევა ხელისუფლების შეცვლა სრულებითაც არ არის. დემოკრატიულ შედეგს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც სისტემის და მისი ხასიათის შეცვლას მოვახერხებთ. თავისთავად არაფერი შეიცვლება, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ნაცვლად, სხვა დასახელების მქონე პარტია ჩაიგდებს ხელში იმ რესურსებს, რომელიც არჩევნებზე უპირატესობის მოპოვებას გაუადვილებს. ჩვენი მთავარი საზრუნავი არაკონკურენტული, არასამართლიანი გარემოს შეცვლისკენ უნდა იყოს მიმართული და არა ახალი „მოქალაქეთა კავშირის“, ან „ნაციონალური მოძრაობის“ ტიპის პარტიის შექმნისკენ.

30 მაისის არჩევნების შედეგები გვაფიქრებინებს, რომ არჩევნებისთვის საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მოუმზადებელია. ამ მექანიზმისადმი ნდობა ქვეყანაში არც ისე მაღალია. თავისთავად ოპოზიციური პარტიების ცუდმა წინასაარჩევნო კამპანიამაც მათ კოლაფსში გარკვეული წვლილი შეიტანა, მაგრამ ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკური საზოგადოება, რომელსაც ძალაუფლების, როგორც ასეთის, შეზღუდვა აინტერესებს. ჩვენ ჯერ კიდევ გვიჭირს გავიაზროთ, რომ მხოლოდ სხვადასხვა ძალაუფლებრივ ჯგუფს შორის ბალანსის შეტანით შევძლებთ დემოკრატიულ სისტემად გარდაქმნას და ბრმად ვუჭერთ მხარს და ყველაფერში ვენდობით ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს. 

30 მაისის არჩევნების შედეგები გვაფიქრებინებს, რომ არჩევნებისთვის საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მოუმზადებელია.

ისეთი სისტემა, სადაც ერთი ჯგუფის ინტერესები მეორე ჯგუფის ინტერესებს შეამონებებს და დააბალანსებს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი წამდვილი დემოკრატიისთვის ბრძოლა. ახლა, როდესაც პოლიტიკური სპექტრი არ იყოფა პროდასავლურ ხელისუფლებად და პროურუსულ ოპოზიციად, ხელისუფლებისთვის 55%-იანი მანდატის მიცემა დემოკრატიისთვის ისეთივე საფრთხის მატარებელია, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის თავის დროზე გამოცხადებული 90%-იანი მხარდაჭერა. ოპოზიციური სპექტრი დღეს მრავალფეროვანია, დაყოფა „ჩვენ და ისინი“ აღარ

შეკრებილი ოპოზიციის მომხრეები გიორგი გაჩეჩილაძემ არა პარლამენტისკენ, არამედ სამების საკათედრო ტაძრისკენ წაიყვანა, სადაც პატრიარქმა მშვიდობისკენ მოუწოდა ხალხს.

ოპოზიციის მომხრეების ყველაზე რადიკალურმა ნაწილმა ოპოზიციის და მიტინგების რწმენა, სავარაუდოდ, სწორედ მაშინ დაკარგა. ამავე დროს მეტნაკლებად ყველას გააზრებული აქვს, რომ დღევანდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, სააკაშვილის ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა არ არის მხოლოდ სამინაო პოლიტიკის თემა და სუპერსახელმწიფოების ჭიდილის საბაზი გახდა. ოპოზიციის

ოჯახური ღირსეულობა

მიუხედავად გაუქმებული მინდობილობისა, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილემ, ქართლოს ყიფიანმა მამიდის სამსართულიანი სახლი თავად გაყიდა, თავადვე იყიდა და 20 ათასი ლარი თავის თავსვე გადაუხადა. თუმცა, ამ თანხიდან მამიდისთვის არაფერი მიუცია.

იაგო ყურაშვილი

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილეს, ქართლოს ყიფიანსა და მის მამიდას, ნანი ყიფიანს შორის სასამართლო დავა, უკვე სამი წელიწადია, გრძელდება. ისინი ერთმანეთს თელავში სამსართულიან სახლსა და მიწის ნაკვეთს ედავებიან.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნანი ყიფიანმა თელავში სახლის მშენებლობას 20 წელიწადი მოანდომა. იგი მემკვიდრეობით მის ქალიშვილს ანა ახვლედიანს უნდა მიეღო. ანა დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გახლავთ.

2007 წელს ქართლოსის მამა, ზურაბ ყიფიანი გარდაიცვალა. ძმის გარდაცვალების გამო, ნერვიულობის ნიადაგზე, ნანი ყიფიანს ინსულტი დაემართა და მან რამდენიმე დღე საავადმყოფოში გაატარა.

საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე ძმისშვილმა მასთან სახლში ნოტარიუსი მათა ბრეგვაძე მიიყვანა. ნოტარიუსის მიერ ქონების განკარგვის თაობაზე მინდობილების ტექსტს მხოლოდ ნანის ხელმოწერა აკლდა. მამიდამ, რომელმაც ინსულტის გადატანის შემდეგ მეტყველების და გადაადგილების უნარი დაკარგა, მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ, დოკუმენტს ხელი მოაწერა. „ნამლის ფულიც კი არ მქონდა. მინდობილობას ხელი მოვწერე და მას გადაეცა ჩემი ქონების მართვის უფლება“, – ამბობს ნანი ყიფიანი.

მისი ძმისშვილი ამჟამად საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილეა. მინდობილობის აქტი 2007 წლის 5 ოქტომბერს გაფორმდა.



ნანი ყიფიანი ნაქირავებ ბინაში, თბილისი 4 ივნისი 2010

ფოტო: ნანა ჟორჯიანი

პირველად ქართლოს ყიფიანმა მამიდის ქონებიდან შპს „კომპიუტერში“ (ყოფილი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი) მისი 5-პროცენტიანი წილი გაყიდა. მოგვიანებით გაიკვია, რომ ქართლოს ყიფიანმა შპს „კომპიუტერში“ 25%-იანი წილი 140 000 ლარად გაყიდა. აქედან 20% მან მემკვიდრეობით მამის ქონებიდან მისი გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ხოლო 5%, რომელიც 35 000 ლარს შეადგენდა, ნანი ყიფიანს ეკუთვნოდა. „როდესაც ქართლოსს თანხა მოვთხოვე, მან შემომითვალა, – მაგ თანხით შენი მკურნალობის ხარჯები დავფარეო. როგორ დავიჯერო, რომ ჩემი მკურნალობა 35 000 ლარი დაჯდა?“ – ამბობს ყიფიანი.

ქართლოს ყიფიანი ამ ბრალდებას უარყოფს: „ნანი მძიმე ავადმყოფი იყო და საავადმყოფოში იწვა. ჩვენ მას ოთხი თვის განმავლობაში ვუვლიდით. მისი წილი – 5% შეადგენდა 19 700 დოლარს. დღეს ავადმყოფის მოსავლელად ადამიანი რომ დაიქირავო, 1000 ლარი უნდა. საერთო თანხიდან მოვლის ხარჯები გამოვუქვლით და 16 000 დოლარი მას გადავეცით. მამიდათქვენს ფინანსურად რომ დაეხმაროთ, ხელწერილს ხომ არ გამოართმევთ, რომ ფული ნამდვილად აიღო? მაგრამ დღეს ნანი ხელებს ასავსავებს და ამბობს, რომ კაპიკი არ აუღია“.

ნანი ყიფიანი კლინიკა „ნევროლოგიაში“ რვა დღის განმავლობაში მკურნალობდა. კლინიკა „ნევროლოგიის“

ბულაღტერის მოვალეობის შემსრულებელს წარვუდგინეთ ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა, რომელიც ამ კლინიკის მიერ არის გაცემული და ვთხოვეთ, რომ დაეანგარიშებინა, თუ რა თანხა დაჯდა ქალბატონი ნანის მკურნალობა 8 დღე-ღამის განმავლობაში. გავარკვიეთ, რომ ინტენსიურ განყოფილებაში პაციენტი დღე-ღამის განმავლობაში 22 ლარს იხდის. რვა დღის საფასური 176 ლარს შეადგენს. მკურნალობის ერთი კურსი 105 ლარიდან 150 ლარამდე მერყეობს. ხოლო კომპიუტერული ტომოგრაფია 150 ლარი ღირს, სულ ჯამში 431 ლარიდან 470 ლარი გამოვიდა.

ნანი ყოფიანმა ქართლოსს მოსთხოვა, წარმოედგინა საბუთები რამდენად გაყიდა მან „კომპიუტერში“ მისი წილი, თუმცა ქართლოსმა არ წარუდგინა ნასყიდობის ხელშეკრულება და თანხაც არ გადასცა, არც წილის შემქმნის ვინაობა გაუმხილა.

აღნიშნული ფაქტი და ასევე სხვა გარემოებები გახდა მინდობილობის გაუქმების საფუძველი. მინდობილობა ნოტარიულად 2007 წლის 28 დეკემბერს გაუქმდა. მისი გაუქმების გადაწყვეტილება იმთავითვე ცნობილი გახდა ქართლოსს ყოფიანის ოჯახისათვის.

მიუხედავად გაუქმებული მინდობილობის ხელშეკრულებისა, ქართლოსმა

უკვე მესამე წელიწადია, გრძელდება. 2008 წლის 7 თებერვალს ქალბატონმა ნანიმ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რათა სასამართლოს ბათილად ეცნო ქართლოსს ყოფიანის გაფორმებული ხელშეკრულება საკუთარ თავთან და დაებრუნებინათ ქონება კანონიერი მფლობელისათვის.

2008 წლის 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ნანი ყოფიანის სარჩელი დააკმაყოფილა და ბათილად ცნო ქართლოსს ყოფიანის მიერ სახლის ყიდვა-გაყიდვის აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში წერია: ბათილად იქნას ცნობილი ქ. თელავში, რჩეულშივილის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული 2008 წლის 17 იანვარს ნანი ყოფიანსა (რწმუნ. ქართლოსს ყოფიანი) და ქართლოსს ყოფიანს შორის რეესტრის №1-478, დამონებული ნინო გინტურის მიერ და აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხოს ნანი ყოფიანის სახელზე.

ამის შემდეგ ქართლოსს ყოფიანმა ბათილად ცნობილი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ყველა ინსტანციაში გაასაჩივრა და ყველა ინსტანციაში გადაწყვეტილება ქალბატონი ყოფიანის სასარგებლოდ გადაწყდა. ქართლოსს ყოფიანი თვლის, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ქალბატონი ნანის თქმით, ქართლოსს ყოფიანი დღემდე ამბობს, რომ მას მინდობილობის გაუქმების შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილება არ მიუღია, როდესაც ყიდვა-გაყიდვის აქტი შეადგინა. თუმცა, მინდობილობის გაუქმების შესახებ მისმა მეუღლემ თვა ყოფშიძე-ნიგურთან გაუქმების დღესვე გაიგო, იგი იმ დღეს ნანი ყოფიანთან სახლში იმყოფებოდა, რაც სასამართლომ მოწმეების ჩვენებით დაადასტურა.

ქართლოსს ყოფიანმა „ლიბერალთან“ საუბარში თქვა, რომ მან ამ მინდობილობის გაუქმების შესახებ მხოლოდ სასამართლო პროცესზე გაიგო, როდესაც მის ნინაღმდემ შეიტანეს სარჩელი. „ჩემი მეუღლე იქ იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა, ეს ყველაფერი არის ტყუილი, ამან თქვა, რომ მე იქ არ ვყოფილვარო. ეხლა იმათმა აიღეს



ნანი ყოფიანის დაყადებული სახლი თელავში, ივნისი 2010

■ ქართლოსს ყოფიანსა და მის მამიდას შორის დაუსრულებელი სასამართლოს სერია, უკვე მესამე წელიწადია, გრძელდება.

რადგან ნანი ყოფიანის მოვლა რთული იყო, მას მორიგეობით სამი მომვლელი აუყვანეს. საერთო ჯამში, მათი ანაზღაურება თვეში 360 ლარს შეადგენდა. ერთ-ერთი მათგანი ია დათუნაშვილი დღესაც მასთან მუშაობს. იგი, ორწელიწად-ნახევარია, უფასოდ უვლის მას, ვინაიდან ქართლოსმა მამიდას კონფლიქტის შემდეგ დაფინანსება შეუწყვიტა.

2008 წლის 17 იანვარს, ანუ ნოტარიუსის მიერ მინდობილობის გაუქმებიდან 20 დღის შემდეგ, საბუთების მიხედვით, მამიდის სამსართულიანი სახლი თავად გაყიდა, თავადვე იყიდა და 20 ათასი ლარი თავის თავსვე გადაუხადა. თუმცა ამ თანხიდან მამიდისთვის არაფერი მიუცია.

სწორედ აქედან დაიწყო დაუმთავრებელი სასამართლოს სერია, რომელიც,

და ვიღაც სიაფანდი მოწმე მოიყვანეს, რომ ის იქ იყო. ნანი არის მსხვერპლი. იმიტომ, რომ შეუჩნდა არა ერთი პირი, ვისაც გარკვეული ინტერესები აქვს ქონებრივი. მისი ქონებიდან უნდათ პატარა ნაჭრის წაღება“.

მამიდა-ძმისშვილის დავა ყველა სასამართლო ინსტანციაში განიხილეს. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ნანი ყოფიანის სარჩელი დააკმაყოფილა და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდა. შემდეგ დავა უზენაეს სასამართლოში გაგრძელდა, საიდანაც საქმე ისევ სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა არსებული არაზუსტი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ შეამოწმა გადანაცვლების კანონიერება და მიიჩნია, რომ იგი უნდა დარჩეს უცვლელი. 2010 წლის 12 აპრილს ქალბატონმა ნანამ სასამართლო უწყება უზენაესი

ქონება მომეცით, და მე ვიცი, რასაც ვიზამ და როგორ ვიზამო“, – ამბობს ქართლოს ყოფიანი.

დედას სურს, რომ სამომავლოდ ანა ია დათუნაშვილთან დარჩეს და მან მოუაროს: „ჩემი სიკვდილის შემდეგ ქონება ანაზე უნდა გადაფორმდეს. ანა იას ძალიან მიეჩნია, ვერ წარმომიდგენია, იას გარეშე როგორ უნდა იცხოვროს“.

ია დათუნაშვილის თქმით: „როდესაც ნანამ სასამართლოში პირველად იჩივლა, ქართლოსმა ნანის მეგობრებში და ნათესავებში ხმა გაავრცელა, რომ თითქოს ნანი ფსიქიკურად შეიშალა და ამის ნიადაგზე თავადაც არ იცის, რას აკეთებს. ამის გამო, ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან სპეციალისტები მოვიყვანეთ, რომლებმაც დაასკვნეს: ფსიქიკური ფუნქციების მხრივ მნიშვნელოვანი პათოლოგია არ აღენიშნება. აქვს სიტუაციის ადეკვატურად აღქმის უნარი“.

ვნებს, რომ უსახსრობის და უყურადღებობის გამო, დიდხანს ვერ იცოცხლებს.

„სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, მარინა ფარცვანიამ მიჩნია, – წლობით სასამართლოში სიარულს, გირჩევნია, შენს ძმისშვილს მოურიგდეო. რატომ უნდა დასჭირდეს შესასწავლად წლები სრულიად ნათელ, უკვე შესწავლილი საქმის გარჩევას? იმიტომ, რომ ქართლოსს არ აწყობს პროცესის დასრულება, ახალგაზრდაა, დრო აქვს. ჩემზე კი ფიქრობს, რომ მალე ბოლო მომეღება. ჩემი შვილი ანა კი შეზღუდული უნარის მქონე ადამიანია და მას იოლად გაუმკლავდება“, – ამბობს ნანი ყოფიანი.

მისი თქმით, ქართლოსი 2008 წლის ნოემბერში ამხანაგობა „მწერალი 207“-ის თავმჯდომარეს ლილი არჩვაძეს დაუკავშირდა და, როგორც ნანი ყოფიანის მეგობრად, მისი წილის გაყიდვა შესთავაზა. „მწერალი 207“ საცხოვრე-

■ მამიდა ეჭვობს, რომ ქართლოსი საქმეს სპეციალურად აჭიანურებს, იმედოვნებს, რომ უსახსრობის და უყურადღებობის გამო, დიდხანს ვერ იცოცხლებს.

სასამართლოდან ისევ მიიღო. საქმე განახლდა. ძმისშვილი, ქართლოს ყოფიანი, არ აპირებს მამიდისთვის წართმეული ქონების უკან დაბრუნებას.

თელავში მდებარე სამსართულიან სადავო სახლზე ქართლოს ყოფიანი ამტკიცებს, რომ სახლი ოჯახური საკუთრებაა. მისი თქმით, სახლის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ ნანი ყოფიანის მეუღლე ლევან დემეტრაძე და ასევე მამამისი – ზურაბ ყოფიანიც. „ნანი არის ღრმა ავადმყოფი, რომელსაც სისხლი ჩაექცა თავში და ახლა თავისთვის სასურველ რაღაცებს რეალობად აცხადებს. მზად ვართ, რომ ეს ქონება გადაფორმდეს მის ქალიშვილზე, ანუ ჩემ მამიდაშვილზე. შევთავაზეთ, რომ აი, ბატონო – გითმობთ ამ ქონებას, ოღონდ არა განკარგვის უფლებით. ნანი წინააღმდეგია: ჩემი

გასულ ზაფხულს ნანი ყოფიანს, მედიკამენტების უქონლობის გამო, განმეორებით დაემართა ინსულტი. მას ყველანაირი საქმიანობა აუკრძალეს. შიშობს, რომ სასამართლოს საბოლოო გადანაცვლების აღსრულებას ვერ მოესწრება და მისი ერთადერთი ქალიშვილი ანა ახვლედიანი უსახლკაროდ, დაღუპა პურის გარეშე, ქუჩაში აღმოჩნდება.“

„ნანი ნაქირავებში რატომ ცხოვრობს? ნუცუბიძეზე მას ბინა ვუყიდეთ. ყველა ყიდულობს მამიდისთვის ბინას?“

ბინა, რომელზეც ქართლოსი საუბრობს, ნუცუბიძის ფერდობზე მე-4 მიკრორაიონში მდებარეობს და ქართლოსის მეუღლეზე – თეა ყოფიანზეა გაფორმებული.

მამიდა ეჭვობს, რომ ქართლოსი საქმეს სპეციალურად აჭიანურებს, იმედო-

ბელ სახლს აშენებს და აქ ნანი ყოფიანს 140 კვ.მ. ფართი ეკუთვნის. ამის თაობაზე ნანამ ლილი არჩვაძისგან შეიტყო და საკუთარი ქონების ნაწილი გაყიდვას გადაარჩინა.

ინფორმაციის გადასამოწმებლად ამხანაგობა „მწერალი 207“-ის თავმჯდომარეს ლილი არჩვაძეს დაუკავშირდით, რომელმაც ზემოთ აღნიშნული ფაქტი დაგვიდასტურა. გვითხრა, რომ მშენებარე საცხოვრებელ სახლში ნანი ყოფიანის წილთან დაკავშირებით ყოფიანის ძმისშვილმა დაურეკა და წილის გაყიდვა შესთავაზა.

65 წლის ნანი ყოფიანი ქალიშვილთან და მომვლელთან ერთად გრიბოედოვის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. აგვისტოს შემდეგ, უსახსრობის გამო, ბინის ქირას ვერ იხდის. ბინის პატრონი ოჯახს გასახლებით ემუქრება. □

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND
სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.



ეკონომიკა

უოქმედობის წმინდა დასახახები

წარმოიდგინეთ, რომ ამოცანად დაგისახეს ავტომობილით თბილისიდან ბათუმში ჩასვლა, მაგრამ ერთი პირობით: ყოველთვის მხოლოდ მარჯვნივ უნდა გაუხვიოთ. მოახერხებთ? ვფიქრობ, გაგიჭირდებათ.

კახა კობრიძე

საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები იმით იყო საინტერესო, რომ ყველა მონაწილე სუბიექტმა წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი აქცენტი დასაქმებასა და მცირე ბიზნესზე გააკეთა. ერთი მხრივ, უცნაური ამაში არაფერია, რადგან წინასაარჩევნო კვლევების მიხედვით, მოქალაქეებს

ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობა მიაჩნიათ, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ხელისუფლების მემარჯვენე ნეოლიბერალური ფრთა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის იდეას, დღეს კი მმართველმა გუნდმა საარჩევნო კამპანია ამ კომპონენტზე ააგო.

ლიბერტარიანულ ეკონომიკურ პოლიტიკას ხელისუფლების გარეთაც ჰყავს მომხრეები, თუმცა მათი რაოდენობა დიდი არ არის და შემოიფარგლება მსხვილი ბიზნესისა თუ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. შესაბამისად, ამომრჩეველთა საერთო განწყობის ფონზე

თავისუფალი ეკონომიკის ჰაიეკისეული გზავნილებით არჩევნებში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. 1964 წელს „მისტერ კონსერვატორად“ წოდებული ბარი გოლდფოთერი თითქმის ამავე მიზეზით დამარცხდა არჩევნებში დემოკრატთან – ლინდონ ჯონსონთან, მაგრამ რონალდ რეიგანმა მალევე შეძლო ის, რაც მანამდე ვერავინ მოახერხა: ანტიუნიონიზმისა და „პატარა მთავრობის“ რიტორიკით მან კონსერვატორულ მოძრაობას ამერიკაში მასობრივი დასაყრდენი შეუქმნა.

საქართველოს არც ამერიკის გზა აქვს გავლილი, სადაც თავისუფალი ბაზარი ტრადიციულად ვითარდებოდა, სადაც მენარმეობა კულტურულ ფენომენად ჩამოყალიბდა და არც რეიგანის მსგავსი ლიდერი მოიძებნება პოლიტიკურ სპექტრში. ან კი როგორ უნდა დაეყრდნო ბიზნესს, როდესაც ის თვითონ სულს ღაფავს?

რაც უფრო ემსახურება ბიზნესისთვის „ხელის არშემშლის პოლიტიკას“, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან საქმე უფრო კომპლექსურ პრობლემასთან გვაქვს. მთავრობამ დრო არ უნდა დაკარგოს და ეკონომიკაში ადმინისტრაციული და პოლიტიკური რეფორმების გზით ხელი უნდა შეუწყოს კომპანიების კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის ზრდას. ანუ „ხელის არშემშლის პოლიტიკიდან“ „ხელშეწყობის პოლიტიკაზე“ უნდა გადავიდეს, რაც მხოლოდ საგადასახადო რეფორმით ვერ მიიღწევა. მცირე ბიზნესის თანმიმდევრული პოლიტიკით გარანტირებული იქნება მოქალაქეთა შემოსავლების ზრდაც, რა დროსაც კონკურენციის მამოძრავებელი ფაქტორები განათლება და ეფექტურად ფუნქციონირებადი სასაქონლო/შრომის/ფინანსური ბაზრები გახდებიან. ასეთ მიდგომას სოციალური ეფექტიც

სხვა ნიშნით კომპანიების დაკავშირება, ინდუსტრიული პარკების (ტერიტორიები ბიზნეს-რესურსების ეფექტური გამოყენება/განვითარებისთვის) შექმნას და მნიშვნელოვნად გაზარდა ექსპორტზე ორიენტაცია.

ქართველ ლიბერტარიანელებს მაინც მიაჩნიათ, რომ თანაბარი მინდორი ყველასთვის საკმარისი პირობაა განვითარებისთვის, სახელმწიფომ, მთავარია, მხოლოდ ხელი არ შეუშალოს ბიზნესს, დანარჩენი კი ევოლუციურად მოხდება. თავიანთი პოზიციების არგუმენტებად არ იყენებენ მეცნიერულ ანალიზს, ციფრებს, არამედ ცივი ომის ინტელექტუალების მსგავსად მხოლოდ მორალური ასპექტებით ხელმძღვანელობენ. მაგალითად: მდიდარს წავართვათ და ღარიბს მივცეთ რომ აღარ ამართლებს. მათი აზრით, არ არის საჭირო მცირე ბიზნესის მხარდაჭერა, ეკონომიკის სტი-

■ ცალმხრივ ულტრამემარჯვენე უტოპიურ ორიენტაციას, როგორც წესი, შედეგად მოაქვს მეტი სიღარიბე, მეტი უმუშევრობა, მკვეთრი დიფერენციაცია მოქალაქეთა შემოსავლებში და, შესაბამისად – გამძაფრებული უთანასწორობები.

დღეისათვის 2 მილიონამდე ეკონომიკურად აქტიურ მოქალაქეთა დაახლოებით 16 პროცენტია ბიზნეს კომპანიებში დასაქმებული, დანარჩენი კი უმუშევარი ან თვითდასაქმებულია. 2009 წლის მონაცემებით, საგარეო ვაჭრობის სალდო მკვეთრად უარყოფითია, იმპორტი სამჯერ აღემატება ექსპორტს. ქართული ბიზნესი შიდა ბაზარზევე არსებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მაშინ როდესაც თუნდაც მაღაზიურ პროდუქტს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეხვდებით.

ალბათ იფიქრებთ, რომ საქართველო სულ რაღაც ორიოდ ათეული წელია, საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა და ვაცალოთ, შედეგებზე საუბარი ოდნავ ადრეა. ლოგიკურია, მაგრამ საქმეც ესაა: ვაცალოთ თუ ვიმოქმედოთ?

მთავრობის ახალი საგადასახადო ინიციატივების შეფასებას დოკუმენტის გამოქვეყნების შემდგომ შევძლებთ. მთლიანობაში ადმინისტრირების გამარტივება დადებითი მოვლენაა,


მაღალი ექნება. განვითარებულ ეკონომიკებში ყოველწლიურად ახალი სამუშაო ადგილების 70 პროცენტზე მეტს მცირე კომპანიები ქმნიან და ბაზარზე დამკვიდრებისთვის უფრო ინოვაციური და რისკიანებიც არიან. „მაკდონალდსი“ და „პილეთ პაკარდი“ კარგი მაგალითებია თუ რა წარმატება შეიძლება მოჰყვეს მცირე წამონყებას.

„აზიურ ვეფხვებად“ ცნობილმა ქვეყნებმა ბოლო 50 წლის რეფორმებით შექმნეს მაღალი განვითარების მოდელები, რომელთაც „ეკონომიკურ სასწაულებს“ უწოდებენ. მთავრობებმა ულტრამემარჯვენე თეორიები გვერდზე გადადეს და პრაგმატულ ამოცანად ბიზნესის განვითარება დაისახეს. შესაბამისად, სტიმულირების მეთოდებს აქტიურად იყენებდნენ, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის უშუალო მხარდაჭერის ფორმებს, რამაც დიდი წვლილი შეიტანა საერთო განვითარებაში. მაგალითად, 1980-იან წლებში ტაივანის მთავრობამ ხელი შეუწყო მცირე მენარმეთა სექტორული კლასტერების (გეოგრაფიული ან

მულირება, ახალი კომპანიების და სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება. ეს ყველაფერი ბლუფია და ზღუდავს თავისუფლებას.

ამგვარ ცალმხრივ ულტრამემარჯვენე უტოპიურ ორიენტაციას, როგორც წესი, შედეგად მოაქვს მეტი სიღარიბე, მეტი უმუშევრობა, მკვეთრი დიფერენციაცია მოქალაქეთა შემოსავლებში და, შესაბამისად – გამძაფრებული უთანასწორობები. ღარიბი ადამიანი კი ვერასდროს იქნება თავისუფალი. ნაცვლად ამისა, არის მცირე ბიზნესის უნივერსალური მხარდაჭერის გზა, რომელიც მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას, ჩაებან ბიზნესში, მოიწყონ უზრუნველყოფილი და მართლაც თავისუფალი ცხოვრება.

მაგრამ ალბათ ადვილია, არ იმოქმედო, იყო ულტრამემარჯვენე პესიმისტი და გერქვას ლიბერტარიანელი, რადგან რთულია, იყო ოპტიმისტი და იმოქმედო სიღარიბის დაძლევისა და კეთილდღეობისთვის. ყველა დიდ მიზანს ხომ რთული გზა ახლავს... ■



ფოტო: ლეონა სანაულაძე

საზოგადოება

დაუსრულებელი სვრიდეები

„საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ცვლილებების მორიგი ტალღა იწყება.

ანიტა თვაური

„თქვენ რა, მოგწონდათ ეს არხი?“ – კითხვაზე კითხვით უპასუხა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა, გია ჭანტურიამ, არხის რეორგანიზების მიზეზით დაინტერესებულ ჟურნალისტებს.

„პირველი არხის“ რეფორმირების აუცილებლობაზე მან 2 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. ეს პირველი არხიდან თანამშრომლე-

ბის დათხოვნისა და სრული რეორგანიზების შესახებ მცდელობაა.

როგორც წესი, პირველი არხის ხელმძღვანელობის შეცვლისა და არხის მორიგი რეორგანიზაციის წამოწყების პროცესი მუდმივად რაიმე პოლიტიკურ მოვლენასა თუ დაპირისპირებას ემთხვევა.

ამ შემთხვევაშიც, რეორგანიზაციის შესახებ განცხადება ჭანტურიამ

თვითმმართველობის არჩევნებიდან მესამე დღეს გააკეთა.

არჩევნების გაშუქების მედიამონიტორინგის პროცესში საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ საერთაშორისო დამკვირვებლებმა ტელეინფორმაციის ყველაზე დაბალანსებულ წყაროდ დაასახელეს.

ცვლილებების ამ საერთაშორისო „კომპლიმენტის“ ფონზე წამოწყებას

ჭანტურია იმით ხსნის, რომ „არხზე პირველი მნიშვნელოვანი მიღწევა „მოამბის“ მუშაობაა და მოდერნიზაციის ეს პროცესი სხვა გადაცემებსაც უნდა შეეხოს“.

„იმ ტექნიკური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, რაც პირველ არხს აქვს, გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება“, – ამბობს გია ჭანტურია და „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ საზაფხულო ტაიმ-აუტს იღებს.

ივნის-ივლისის თვეებში პირველი არხის ძირითად სატელევიზიო ბაღეს ფეხბურთის ჩემპიონატი შეავსებს. ეთერში დარჩება საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ და დილის გადაცემა „ალიონი“. სისტემური ცვლილებების მოტივით, დაიხურა გადაცემების უმრავლესობა და კონტრაქტები აღარ გაუგრძელეს თანამშრომლების დიდ ნაწილს.

მდეგ ოპოზიცია თავის მხარდამჭერებს გამარჯვებას ულოცავდა და მიმართავდა სიტყვებით: „თქვენ დაიბრუნეთ ტელევიზია, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის“.

რეალურად კი, ნებისმიერი ეს ცვლილება, რომელიც უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიდრე არხის საჭიროებებით ნაკარნახევი, არათუ წინ გადადგმული ნაბიჯი, ზოგ შემთხვევაში უკან სვლაც კი იყო.

ჭანტურიას დანიშნვიდან შვიდი თვის თავზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მაყურებელს კვლავ ეუბნებიან, რომ არხის რეორგანიზაციის პროცესი ხელახლა უნდა დაიწყოს.

წლების მანძილზე ვერც ერთმა მმართველმა ვერ მოაგვარა ის პრობლემები, რომლებიც პირველ არხს სრულფასოვან საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნაში უშლის ხელს.

დენიმე ადამიანი ისე ასრულებს, რომ მათ შორის კომუნიკაციაც კი არ ხდება. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული კონკრეტულ თანამშრომელთა ზუსტი ვალდებულებები. ეს მაშინ, როცა არხის ბიუჯეტის 64 პროცენტი 1030 თანამშრომლის ხელფასზე იხარჯება.

ბურჭულაძე აცხადებს, რომ რეორგანიზაცია ხელფასების გაცემის ნებსაც შეეხება. თუ თანამშრომლები ფიქსირებულ ხელფასს სამუშაო საათების დაანგარიშების გარეშე იღებდნენ, მომავალში ეს პრაქტიკა შეიცვლება. ფიქსირებული ხელფასების შემცირების პარალელურად მოხდება ანაზღაურება გამომუშავების მიხედვით. შემცირდება თანამშრომელთა რიცხვიც. დაზოგილ თანხებს კი არხი ახალი პროექტების განხორციელებას მოახმარს.

„4-თვიანმა აუდიტმა გაარკვია, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“

■ წლების მანძილზე ვერც ერთმა მმართველმა ვერ მოაგვარა ის პრობლემები, რომლებიც პირველ არხს სრულფასოვან საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნაში უშლის ხელს.

წინა წლებშიც „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ნამოწეხული ყოველი რეორგანიზაციის დროს გადაცემების დიდი ნაწილი სწორედ არხის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იხურებოდა, ტელევიზიიდან ათავისუფლებდნენ „გაბერილ შტატებს“.

თავად ჭანტურიაც, ტელევიზიის დირექტორის თანამდებობაზე ერთ-ერთი ასეთი ძირფესვიანი გარდაქმნის ტალღაზე მოვიდა, როცა თანამდებობიდან გადადგა ლევან ყუბანეიშვილი – გენერალური დირექტორი, რომელსაც 2009 წლის საგაზაფხულო აქციების დროს ტელევიზიის წინ „სირცხვილის დერეფანს“ უწყობდნენ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იმ პერიოდში ოპოზიციის მთავარ სამიზნედ კიდევ ერთხელ იქცა მისი დაუბალანსებელი საინფორმაციო პოლიტიკის გამო.

მანამდე იგივე თანამდებობა ოპოზიციის აქციების ფონზე დატოვა თამარ კინწურაშვილმაც.

ნებისმიერი ასეთი გადადგომის შე-

დღემდე გადაუჭრელია მენეჯმენტის პრობლემა, რომელიც ტელერადიოკორპორაციის მოძველებული სტრუქტურის გადახალისებას და მოდერნიზებას შეძლებდა.

4 თვის წინ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ არხის პრობლემების გასარკვევად საკონსულტაციო კომპანია „Georgian Management Consulting Group“ დაიქირავა, რომელსაც ამ ტელევიზიის ორგანიზაციული აუდიტი ერთხელ უკვე დაავალეს – 2000 წელს.

„აღმოჩნდა, რომ ტელევიზიაში დღესაც იგივე პრობლემებია, რაც ათი წლის წინ იყო, რადგან ზაზა შენგელიამ ჩვენი დასკვნა თაროზე შემოდო. მაშინ პოლიტიკური ნება არ არსებობდა“, – ამბობს „GMCG“-ის წარმომადგენელი, გია ჭანტურიას მრჩეველი ალექსანდრე ბურჭულაძე.

დღესაც ტელევიზიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, ტრადიციულად, გაბერილი შტატი სახელდება. აქ ხშირად ერთსა და იმავე ფუნქციას რამ-

ცალკეული ტელეპროექტების ხარჯსაც ვერ ითვლიან. ამ მექანიზმს ახლა ვქმნით“, – ამბობს ბურჭულაძე.

საკადრო ცვლილებები უკვე დაიწყო. შეიცვალა ფინანსური დირექტორი და დირექტორის მრჩეველი ადამიანური რესურსების საკითხებში. „მე მჭირდებოდა გუნდი, რომელშიც არ იქნებოდა განუმეორებელი კომპონენტი და ერთ ადამიანზე არ იქნებოდა ყველაფერი დამოკიდებული“, – ამბობს ბურჭულაძე.

გია ჭანტურია აცხადებს, რომ წინა მმართველებისგან განსხვავებით, მას ძლიერი სამეურვეო საბჭო ჰყავს და დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებაში ეს ფაქტორიც დაეხმარება. თუმცა, პირველ არხზე დაგეგმილი არც ერთი ცვლილება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ არხის საზოგადოებრივ მაუწყებლად რეორგანიზაციის პროცესი წარმატებული იქნება. წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ნების გარეშე ეს თითქმის შეუძლებელია. ■

ჩვენი პასუხი ჩებეჩენს

რენი ჰარლინის „ჯორჯიას“ მოსკოვი იტალიელი პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის, ჯულიეტო კიეზას დოკუმენტურ ფილმს უპირისპირებს.

დავით ბუხრიკიძე



ენდი გარსია ფილმ „ჯორჯიას“ გადაღებებზე, რეჟისორი რენი ჰარლინი, 2009

ფილმის რეჟისორი რენი ჰარლინი

როგორც ჩანს, ყოვლისშემძლე ინტერნეტი მაინც ვერ შეუშლის ხელს კინემატოგრაფს, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური თამაშებისთვის აღმოჩნდება „განწირული“. საკმარისია, თვალი მივადევნოთ ჰოლივუდში ბლოკბასტერების კეთილსინდისიერად მკეთებლის, რენი ჰარლინის ჩვენთვის საბედისწერო „ჯორჯიას“ პერიპეტიებს, რომ ნათელი გახდეს, რამდენად ძვირი უჯდება საქართველოს დასავლეთში გასატანი თავისუფალი ქვეყნის იმიჯი. მით უმეტეს, როცა პოლიტიკური მონინააღმდეგე საპასუხო არგუმენტებით არც ზენოლას ერიდება, არც სახელოვანი რეჟისორე-



„ავღანეთი: წელი ნული“



კადრი ფილმიდან „9/11 – გამოძიება ნულიდან“

■ ფილმს ვერ ექნება დასავლეთზე იდეოლოგიური გავლენა და მით უმეტეს – ობიექტურობის პრეტენზია.

ბის მოქრთამვას და არც დასავლეთის მედიაზე გავლენის მოპოვებას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოძახილი, უკვე ერთ წელზე მეტია, კინოდუელშიც აირეკლება. რენი ჰარლინის „ჯორჯიას“ ტრაილერში ენდი გარსიას (მიხეილ სააკაშვილს ემოციურად და ოდნავ აღმოსავლური აქცენტით წარმოგიდგენს) ცრემლებსაც იხილავთ და ველ კილმერის (ის ფილმში ჟურნალისტი) შთამბეჭდავ ძუნძულსაც და ნამდვილი ოპერატორივით, სირბილისას ვიდეოკამერით გადაღებულ ომის კადრებსაც. არც ტრადიციული ქორწილის სცენები და განათებული ღამის თბილისია ურიგოდ გადაღებული, რომელმაც ბერლინსა და კანში ალბათ აუჩუყა გული 20-წუთიანი ტრაილერის მასურებელს.

იგი ჯერ კიდევ თებერვალში ვნახე ბერლინის კინოფესტივალზე და მომეჩვენა, ეფექტურ, ზომიერად შთამ-

ფორმაციის მოძიება. თავად რეჟისორი, უკვე ხუთი დღეა, ცხინვალში იმყოფება (ცხადია, იქ ჩრდილო-ოსეთიდან ჩავიდა) და ღამის გასამხედროებულ-გასაიდუმლოებულ ვითარებაში მუშაობს „დოკუმენტურ მასალებზე“...

„ამ ომის შესახებ ევროპაში წარმოდგენაც არ აქვთ. მით უმეტეს, კონფლიქტის რეალურ მიზეზებზე – თუ რატომ იბრძვის ოსი ხალხი დამოუკიდებლობისთვის“, – ამბობს ჯულიეტო კიეზა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, უფრო ზუსტად, 70-80-იან წლებში საბჭოთა პრესის („იზეესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „კინოფონო ზრენი“) ცნობილი უცხოელი ავტორია. თუმცა, როგორც ჟურნალისტმა, ფეხი იტალიის კომპარტის ფლაგმან „უნიტაში“ აიდგა, სადაც ძირითადად, სოციალურ რეპორტაჟებს აქვეყნებდა. მოგვიანებით კი „ლა სტამპას“ მიმომხილველი გახდა.

აკრიტიკებდა დასავლეთს რუსეთთან მიმართებაში...

2001 წელს ნიუ-იორკში მომხდარი ტერაქტის შესახებ მან გადაიღო დოკუმენტური ფილმი „9/11 – გამოძიება ნულიდან“, რომელშიც მომხდარ ტერაქტში ამერიკის სპეცსამსახურებსა და ხელისუფლებას ადანაშაულებს. ამერიკას სდებს ბრალს მოგვიანებით, ავღანეთის შესახებ გადაღებულ ფილმშიც, რომელშიც ამერიკა გამოყვანილია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდის მომწყობი, რუსეთი კი ავღანელების მხსნელად არის წარმოდგენილი.

ცხადია, ამგვარი ბიოგრაფიის დოკუმენტალისტი და გარკვეულწილად პოლიტიკოსიც, ძნელად თუ დააჯერებს ვინმეს, რომ „ობიექტურ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს სამხრეთი ოსეთის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ“. მით უმეტეს, რომ

■ **საექვო კომპანია Orme Sas, რომელიც 69 წლის რეჟისორის მომავალ დოკუმენტურ ფილმს, სახელწოდებით „სამხრეთი ოსეთი: გზა დამოუკიდებლობისაკენ“ აფინანსებს, ამკარად რუსული კომპანიების „აჩრდილია“.**

ბეჭდავ, მაგრამ მგრძობიარე პატრიოტულ ჩანახატს ჰგავდა – „მამაცი გულის“ ტრადიციისა თუ „ექმენ მუვის“ კლიშეების გათვალისწინებით. უკვე აგვისტოს ბოლოს „ჯორჯია“ ევროპისა და ამერიკის კინოგაქირავებაში გამოვა. ალბათ ამის საპასუხოდ, რუსეთის ხელისუფლებამ საგანგებო ზომები მიიღო: თავის დროზე ცხინვალთან მოულოდნელად წასულ (ან იქნებ დროულად გონს მოგებულ?!) ემირ კუსტურიცას ნაცვლად, რომელიც ასევე აპირებდა მხატვრული ფილმის გადაღებას 2008 წლის ომის შესახებ, ცხინვალს იტალიელი პუბლიცისტი, კინოდოკუმენტალისტი, ევროპარლამენტის წევრი და მხურვალე სოციალისტი, ჯულიეტო კიეზა მოავლინა.

საექვო კომპანია Orme Sas, რომელიც 69 წლის რეჟისორის მომავალ დოკუმენტურ ფილმს, სახელწოდებით „სამხრეთი ოსეთი: გზა დამოუკიდებლობისაკენ“ აფინანსებს, ამკარად რუსული კომპანიების „აჩრდილია“. მის შესახებ ინტერნეტშიც ძნელია ნორმალური ინ-

მისი სიმპათიები საბჭოთა კავშირის მიმართ (რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მსგავსად) არც სიახლით გამოირჩევა და არც განსაკუთრებული ფანტაზიით. რუსეთს დიდ, სამართლიან და წარმატებულ ქვეყანას უწოდებს, ამერიკას – იმპერიალიზმისა და უსამართლობის ბუდეს. კიეზა, რამდენიმე წელია, ევროპარლამენტის დეპუტატია. ამჟამად კულტურისა და განათლების კომიტეტს ხელმძღვანელობს და, რაც ყველაზე უცნაურია, ყოველთვის, ნებისმიერ საკითხში რუსეთის ინტერესებს იცავს.

ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან, როცა ღამის ყველა დასავლელ ტურისტს უშიშროების კომიტეტი აღრიცხავდა, კიეზა ახერხებდა მშრომელებთან შეხვედრას, საბჭოთა ინტელიგენციასთან საერთო ენის გამონახვას და პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტში „კაპიტალიზმის ფუნდამენტურ კრიზისზე“ ლექციების ნაკითხვას. წერდა რეპორტაჟებს, იღებდა დოკუმენტურ ფილმებს, მუდმივად

გერმანულ პრესაში ჯერ კიდევ გასულ წელს გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ, რომელშიც რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთის აღიარებას ლოგიკურ პროცესად მიიჩნევს.

ფილმს ვერ ექნება დასავლეთზე იდეოლოგიური გავლენა და მით უმეტეს – ობიექტურობის პრეტენზია. ეს მშვენივრად იციან რუსეთშიც. უბრალოდ, რენი ჰარლინის „ჯორჯიას“ შემდეგ რაიმე გამანეიტრალებელი ღონისძიება სასწრაფოდ მოსაფიქრებელი იყო და რუსეთში დიდხანს ფიქრი არც დასჭირვებიათ. პრეტენზიული, პოლიტიკურად ფრთხილი და საკუთარ თავში დარწმუნებული კუსტურიცას შემდეგ ბატონი ჯულიეტო კიეზას კანდიდატურა ფინანსურად მისაღები და პოლიტიკურად თავის აუტივივებელი ვარიანტია. აბა, ტოლიატის ქარხანა ტყუილად უშვებდა იტალიელი კომუნისტების საყვარელ „ფიატს“; ანუ, საბჭოურად რომ ვთქვათ, „ჟიგულის“? იქნებ საბჭოეთის მიმართ ნოსტალგიის გამო, ცხინვალში კიეზო სწორედ ამ „ჟიგულით“ დადის?! □

ხელისუფლების თვითშეზღვევა, ხონსტიტუციონალიზმის შესავალი

ანდრაშ შაიომ ამ წიგნით მარტივად და გასაგებად ახსნა საკმაოდ რთული და აქტუალური საკითხი – რა არის ქვეყნის კონსტიტუცია.

ნინო რობაქიძე



„ხელისუფლების თვითშეზღვევა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“
ანდრაშ შაიო, 2003 წელი, ქართული თარგმანი

უნგრელი კონსტიტუციონალისტი, ანდრაშ შაიო „აღმოსავლეთ ევროპასა და სხვაგან ხელისუფლებაში მყოფმა აპარატგანმა და უვიცმა ადამიანებმა აიძულეს“, ეს წიგნი დაენერა. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი კი ის ინტელექტუალური ვაკუუმი იყო, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ზოგადად კონსტიტუციონალიზმის ირგვლივ არსებობდა. თუმცა საკითხი არანაკლებ აქტუალური იყო უფრო დამკვიდრებული დემოკრატიებისთვისაც.

შაიოს წიგნის ქართული გამოცემა

2003 წელს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის მხარდაჭერით დაიბეჭდა. მაშინაც და დღესაც წიგნის განსაკუთრებულ აქტუალობას საქართველოს კონსტიტუციის არაერთგზის ცვლილებები და ამ პროცესის ირგვლივ დაუსრულებელი დებატები განაპირობებს. თუმცა „ხელისუფლების თვითშეზღვევა“ განსაკუთრებით საინტერესო იმიტომ არის, რომ ეს წიგნი ავტორმა პოსტსაბჭოთა უნგრეთის კონსტიტუციური დაფუძნებისას არსებული კონკრეტული პრობლემებისა და გამოწვევების, შეცდომებისა და წარმატებების მაგალითებზე დაყრდნობით შექმნა. პოსტსაბჭოთა უნგრეთის მაგალითები კი ძალიან ახლოა დღევანდელ საქართველოსთან, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, ჯერ ბოლომდე ვერ დაძლია საბჭოთა მემკვიდრეობა და ვერ გახდა „პოსტსაბჭოთა“ ქვეყანა. გამოწვევები, რასთან გამკლავებაც აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ მოუხდათ, ჯერ კიდევ დგას ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე.

„დამარცხებული ფაშისტური რეჟიმებისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის ნარჩენებზე აღმოცენებული ახალი მთავრობები ჩაფიქრებული და დაკანონებულნი იყვნენ, როგორც დემოკრატიები. სამუხაროდ, და ეს გარდაუვალიც იყო, დემოკრატია მხოლოდ ლეგიტიმურობის იაფი და ადვილად დასაკმაყოფილებელი მეთოდი აღმოჩნდა ამ ახალი რეჟიმებისთვის. ბევრ მათგანში დემოკრატულად არჩეული მთავრობები

საკმაოდ ხშირად ისე იქცეოდნენ, თითქოს მათი თავისუფალი არჩევნების გზით მოსვლა ამართლებდა სახელისუფლებო უფლებამოსილების უსაზღვროდ, ამორალურად და ბოროტად გამოყენებას, – წერს შაიო და წიგნს კონსტიტუციის დანიშნულებაზე მსჯელობით იწყებს, – კონსტიტუციების საზრუნავი არ გახლავთ ნათელი მომავალი... კონსტიტუციონალიზმის იდეებით განაყოფიერებული კონსტიტუციის საგანი შეზღუდული ხელისუფლებაა“.

შეზღუდული ხელისუფლება, ხელისუფლების დანაწილება, დემოკრატიის კონსტიტუციური შეზღუდვა, კონსტიტუციის შექმნის უფლებამოსილება – ყველა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს ქართულ პოლიტიკურ დისკუსიაში, თუმცა მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ძალიან იშვიათად განიხილავს მათ ქართული მედია და ამიტომ ამომრჩევლისთვის პოლიტიკური პროცესის ეს ნაწილი აბსოლუტურად უცნობია.

არგუმენტი, თითქოს ამ თემაზე საზოგადოებრივი პოლემიკის წამოწყება რთულია, სრულიად უსუსური ხდება ანდრაშ შაიოს წიგნის წაკითხვის შემდეგ. ეს წიგნი არის იმის საუკეთესო მაგალითი, თუ რა მარტივად შეიძლება იმსჯელო ერთი შეხედვით რთულ სამართლებრივ საკითხებზე. შაიოს წიგნის კიდევ ერთი ღირებულება ის არის, რომ ნათლად წარმოაჩენს კავშირს ქვეყნის კონსტიტუციასა და ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს შორის. შაიო ხაზს უსვამს პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ დისკუსიაში



www.liberali.ge

კონსტიტუციონალიზმის იდეების აქტიური განხილვის მნიშვნელობას, მაშინ, როცა ტრადიციულ დემოკრატიებში შეიძლება მსგავსი საჭიროება არ არსებობდეს.

„თუ არ არსებობს ხელისუფლების შეზღუდვა, მისი მიმართება ინდივიდთან არის ძალის და არა სამართლის მიმართება. საჯარო სამართალი, თუ იგი მოკლებულია ხელისუფლების მიმართ იმპერატიულ ხასიათს, საერთოდ არ არის სამართალი“, – თუნდაც სამართლის ასეთი განმარტება შეიძლება სრულიად ახალი ამბავი იყოს იმ ჟურნალისტიკისთვის, რომელიც სამხედრო აღლუმიდან ჩართვისას „უბრალო ხალხზე“ და „ხელისუფლების წარმომადგენლებზე“ საუბრობდა და რომელსაც ალბათ ჰგონია, რომ კანონები მხოლოდ „უბრალო ხალხისთვის“ აკრძალვების დასაწესებლად შექმნეს „ხელისუფლების წარმომადგენლებმა“.

ზოგადად ინდივიდის ძირითად უფლებებს ანდრამ შაიოს წიგნის ბოლო და ყველაზე დიდი თავი ეძღვნება. შაიო წერს, რომ კონსტი-

იქმნება კონსტიტუციები, და არა – კომუნისტების მსგავსად, ლამაზი და აბსტრაქტული ცნებებით „მომავლის საზოგადოების“ დახატვისთვის.

კონსტიტუციად გამოცხადებული მმართველ პოლიტიკურ ძალას მორგებული პოპულისტური დოქტრინა ვერ გაუძლებს საზოგადოებრივი ცხოვრების გამოწვევებს. სწორედ ამიტომ, დიდი კონსტიტუციების შექმნას შიში და უარყოფის გზით თვითდაპყვიდრება სდევდა თან, რისი აღიარებაც არ უყვართ კონსტიტუციის ავტორობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსებს.


დამფუძნებელმა მამებმა ამერიკის კონსტიტუციაზე მუშაობისას ზუსტად იცოდნენ, რომ არ სურდათ მეფის უღლის აღდგენა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის კონსტიტუციის ავტორებს არ ასვენებდათ ნაცისტური მმართველობის შიში და ვაიმარის რესპუბლიკის უმართაობის გავლილი საშინელება. 1958 წელს შარლ დე გოლს სურდა, არასდროს გამეორებულიყო საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკის პარალიზებული პარლამენტი, და ამ ქვეყნების

ეს წიგნი არის იმის საუკეთესო მაგალითი, თუ რა მარტივად შეიძლება იმსჯელო ერთი შეხედვით რთულ სამართლებრივ საკითხებზე.

ტუცია იმით განსხვავდება უბრალო ძირითადი კანონებისგან, რომ პირველი თავისუფლების უზრუნველყოფას ცდილობს მაშინ, როცა მეორე შეზღუდვებს აწესებს. ინდივიდის თავისუფლებას კი დაცვა სჭირდება ხელისუფლებისგან. თვით დემოკრატია შეიძლება ხელისუფლების შეზღუდვის ელემენტიც იყოს, მაგრამ მისი განხორციელებისას ის შეიძლება უმრავლესობის ტირანიის ინსტრუმენტად იქცეს, „ან თუნდაც ისეთი მყვირალა უმცირესობის ტირანიის ინსტრუმენტად, რომელიც აცხადებს, რომ რომელიღაც დემოკრატიული უმრავლესობის სახელით მოქმედებს“.

სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე სწორედ ყველაზე უარესი სცენარების გამორიცხვის მიზნით

კონსტიტუციებში ყველა ამ შიშმა ჰპოვა ასახვა.

დღეს საქართველოს კონსტიტუცია კიდევ ერთხელ თითქმის თავიდან იწერება. მთავარი კითხვა, რომელსაც ანდრამ შაიოს წიგნი კონსტიტუციაზე მომუშავე ადამიანების ჯგუფს დაუსვამს, არის – გაითვალისწინებს თუ არა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ ყველაზე დიდ საფრთხეებს საქართველოს კონსტიტუცია; გახდება თუ არა ეს დოკუმენტი ხელისუფლების თვითშეზღუდვის, ინდივიდის თავისუფლებისა და დემოკრატიის საუკეთესო ფორმით განხორციელების გარანტი, თუ დარჩება დოკუმენტად, რომელსაც, როგორც დღემდე, მომავალშიც მუდმივად დასჭირდება ქიურგიული ჩარევა. 

ევროპული ჰოლიუდი



ლაშა ბულაძე, მწერალი

რა საშინელი თვისება აქვთ ამ ევროპელებს: ცხოვრება არ შეუძლიათ ამ წყევლილი პოლიტიკური კონტექსტის გარეშე! პოლიტიკას თხრიან ისეთ უვნებელ მოვლენაშიც კი, როგორც თუნდაც მუსიკალური კონკურსი „ევროვიზია“.

ნუთუ არ შეიძლება, რომ უბრალოდ ამდღრონ ადამიანები? რა საჭიროა ყველას და ყველაფრის პოლიტიზება!

პირდაპირ ვიტყვი – ევროპელებმა თავი მოიჭრეს! გეგონება, საქმე აკლდეთ გერმანიის კანცლერ მერკელს, ფრანგთა პრეზიდენტ სარკოზის და ბერძენთა პრემიერ პაპანდრეუსს! პირველმა არჩევნები წააგო ერთ-ერთ ყოფილ საკურფიურსტომი, მეორეს ლამისაა ქუქულასავით ჩამოეშალა ოჯახი, მესამეს კი თითქმის ყოველდღე დემონსტრაციებს უწყობდა მოსახლეობა, ესენი კი მარტო იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გაემარჯვა მათი ქვეყნის წარმომადგენელს „ევროვიზიაზე“!

ჩვენ კი ამ დროს რა ღირსეულად წარვდევით... სანყალ ჩვენებს იმდენი საქმე აყრიათ თავზე, არც „ევროვიზია“ გახსენებით და არც ამ კონკურსში მონაწილე ქართველი მომღერალი. ანუ, ერთადერთი, მოუცლევლობისა და უყურადღებობის გამო თუ ვუსაყვედურებთ, სხვა მხრივ – სასაყვედურო არაფერი აქვთ.

აბა, ჩვენები როგორ იკადრებდნენ იმას, რაც ევროპის მთავრობებმა იკადრეს! თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, პირადად ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტი ყოფილა ევრო-კონკურსანტი გოგონას ჩაცმა-შეკაზმვა-ამღერება-გაპოპულარულებით დაკავებული (ქვეყანას ეთიკური მოსაზრებების გამო არ ვასახელებ), კულტურის მინისტრს დღეში ათჯერ ურეკავდა და ახალ-ახალ ბრძანებებს ჩაჰკიოდა ტელეფონში:

– შავი ჩაცვას, უფრო გამხდარი გამოჩნდება!

– სახეზე თეთრი ფერუმარილი წაიციხოს, თვალის კონტური უკეთ გამოუჩნდება!

– ჭამა შეწყვიტოს სცენაზე გამოსვლამდე 11 საათით ადრე, დიეტის ცხრილს თავად შევუდგენ!

– თქოები მსუბუქად გააქნოს, მეტიმეტი არაფერი ვარგა!

– ბოლოს ხალხს ინგლისურად გადაუხადოს მადლობა, იცოდეს მსოფლიომ, რომ იხოლაციონისტები არა ვართ!

დიასპორებს კონკურსანტის კომპაქტ დისკები დაუგზავნეს, – ხალხში გაავრცელეთ და დღედაღამ ამას უსმინეთო.

ალარ იკითხავთ, ფული ვინლა გადაიხადა ამ ყველაფერში? – სახელმწიფომ, რასაკვირველია! საელჩოებში დაგზავნილი საესემესო ხარჯიც და დისკეულის ჩანურა-გავრცელებისაც საქართვე... უკაცრავად, X ქვეყნის დიასპორების სამინისტრომ გაიღო. ესე იგი, რა გამოვიდა: მომღერალი-გოგონა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებულია, პრეზიდენტს კი მისი მენეჯერობაც შეუთავსებია.



სოფო ნიჟარაძის გამოსვლა „ევროვიზიაზე“, მაისი 2010

განა სასაცილო არ არის იმგვარი პოლიტიკური, რომელიც სცენაზე მოკუნტრუშე გოგონას მეშვეობით ცდილობს „დიდი პოლიტიკის კეთებას“! მადლობა ღმერთს, ასეთები არა ვართ...

ეს რაა, მარტო პრეზიდენტს კი არა, დიდრონ სახელმწიფო ინსტიტუტებსაც შეუტანიათ წვლილი ამ მაგალობელი გოგონას გამარჯვებაში: მსოფლიოში გაბნეულ საელჩოებში 16 ათასი ლარ... უკაცრავად, ევრო გადაურიცხავთ, – მობილურის ბარათები შეიძინეთ, ბავშვს უხვი ესემესებით წახებართეთ, – ხოლო

– ასეა, გენაცვალე, საჭირო, – ეუბნებოდა თურმე მინისტრებს, – თუკი კარგად იმღერებს, არც არჩევნებს წავაგებთ და არც ფინანსური კრიზისის გამო შეგრისხავენ ამომრჩევლები.

ხედავთ ხომ, რა ხალხი ყოფილა? ევროპელები ჰქვიათ ამათ ამის მერე?

ოჰ, კიდევ კარგი, ჩემი მთავრობა შორს იდგა ამნაირი მაქინაციებისგან... ჩვენები იმას გაბედავენ, რომ ხალხის დაუკითხავად გაეფლანგათ ქვეყნის ხაზინა? რას ამბობთ! ☒

ჰოლანდიური ჩაპელი



გიორგი ახვლედიანი, ლონდონი



ახლა მართლა აღარც არაფერი დარჩა: პარასკევ საღამოს ფეხბურთის მსოფლიო თასი დაიწყება, როგორც ძველ, ტკბილ დროს იტყოდნენ – მსოფლიოს პირველობა ფეხბურთში.

ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკაში ტარდება, რაც თავის დროზეც დიდი ხმაურის საბაზი იყო და ხელს ახლაც არავინ აკლებს. თანაც აფრიკა დიდია და მთელს

აფრიკაში ამორჩეული იქნა სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა, ნელსონ მანდელას სამშობლო, სხვანაირად ცისარტყელას ერი. ასე ეძახიან ამ ქვეყანას და შესაბამისი სამუშაოც მაშინვე გახურდა.

ჩვეულებრივ, მასპინძელი ქვეყნის ამორჩევა ექვსი წლით ადრე ხდება და მუშაობაც მაშინვე იწყება ხოლმე; ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები, ქვეყანას გააჩნია. ამის თაობაზე გასულ

კვირაშიც ვინერებოდი, ამიტომ აღარ გავაგრძელებ.

თავის დროზე, როცა სამხრეთ აფრიკას მსოფლიო თასის მასპინძლად ირჩევდა, ფიფა-ს ლოზუნგი ის იყო, რომ მთელი შავი კონტინენტისთვის ეჩუქებინა ფეხბურთის მთავარი ზეიმი და შესაბამისად საფეხბურთო მეურნეობის და განწყობის სტიმულირებაც მოეხდინა. თანაც მსოფლიო ჩემპიონატი ნებისმიერი ქვეყნისთვის

დიდი საჩუქარია, რახანლა მსოფლიოში ყველაზე მომგებიანი სპორტული ღონისძიება.

ოღონდაც, რამდენად ეწვევიან აფრიკელები ცისარტყელას ქვეყანას, ძნელი სათქმელია. მთელ კონტინენტზე, მასპინძელი ქვეყნის გამოკლებით, სულ 13 ათასი ბილეთი გაიყიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ბილეთი სულ 2,9 მილიონია, მაშინ გაირკვევა, რომ აფრიკელები სიღარიბის გამო მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მიემგზავრებიან და, ვთქვათ, კამერუნსა და კოტ დ'ივუარის ნაკრებებს მხოლოდ ფანების მცირე ჯგუფები ჩამოჰყვებიან. ყველაზე მეტი ტურისტი, 50 ათასი, ცხადია, ინგლისიდან იქნება. თუმცა, ინგლისური ლაშქარი გვარიანი გამოცდის წინაშე დგას.

სამხრეთი აფრიკა ყენევა და ციურისი არ არის. ახალი სტადიონები კი უფრო იმ ადგილებშია აშენებული, სადაც აპარტიდის დროინდელი ლატაკთა გეტოები იყო და სადაც ძალიან მაღალია ქუჩის კრიმინალი. როგორც ამბობენ, ქუჩის ბანდები უბრალოდ ხელებს იფშვნიტენ მსოფლიო თასის მოლოდინში.

და რატომ არ ააშენეს სტადიონები ნესიერი უბნების ახლოს?

იმიტომ, რომ ჯერ ეს ერთი, იქ ფეხბურთი არავის აინტერესებს. ფეხბურთი აფრიკაში ყოველთვის ლატაკთა სპორტი იყო, აპარტიდის დროს კი, რა თქმა უნდა, რაგბის მარგინალი ძმა გახლდათ; მეორეც, მთა-

მსოფლიოს თასი ერთ-ერთი ტრადიციული სპონსორია. ანდა როგორ აღკვეთ მეკობრული მაისურების გაყიდვას? ფიფა-ს ისიც კი არ უნდოდა, რომ გახსნის ცერემონიაზე, იოჰანესბურგის სოკერ სიტში აფრიკელი მუსიკოსები გამოსულიყვნენ და არც თმობდა, სანამ მუსიკოსები არ დაიმუქრნენ, სწორედ მაგ დროს ჩვენს ჩვენს სახალხო კონცერტს ჩავატარებთ და ნახავთ, რაც მოგივათო. მოკლედ, ყველაფერს ეტყობოდა, რომ ფიფა-მ აფრიკას შეჯიბრი კი აჩუქა, მაგრამ გზადაგზა რაღაცები არ მოეწონა და თანაც, მთელი ის ამბავი, რომ მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკას ააყვავებდა, სისულელე გამოდგა.


ორიოდ კვირის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა ზუმამ მოსახლეობას მიმართა და ამ მიმართვის აზრი დაახლოებით ასეთი იყო: ე ბიჭო, ამ ერთ თვეს რამენაირად შეიკავეთ თავი, მთლად ნუ მოვიჭრით მსოფლიოს წინაშეო.

მისი მოწოდების არსი გასაგებია, მაგრამ აბა, ასეთი საკბილოს ხელიდან გაშვებაც როგორია. აფრიკული ბანდებისთვის ყველა უცხოელი მდიდარია. სამხრეთი აფრიკა კი 49-მილიონიანი ქვეყანაა, სადაც საყოველთაო უმუშევრობა, შიდსი, ნარკოტიკები და ლოთობა, კრიმინალთან შეხმატკბილებით არსებობს. აქ წელიწადში 18 ათას ადამიანს კლავენ სწორედ ძარცვა-ყაჩაღობის მიზნით, 200 ათასი სერიოზული ძალადობა ხდება, და ამათგან – 18 400 სახლის ძარცვაა და,

■ ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკაში ტარდება, რაც თავის დროზეც დიდი ხმაურის საბაზი იყო და ხელს ახლაც არავინ აკლებს.

ვრობა ფიქრობდა, რომ სტადიონების ცუდ უბნებში აშენებით იმ უბნების ცხოვრებას გააუმჯობესებდა, რაც აფრიკაში აშკარად არ გამოვიდა და მრავალი პრობლემაც წარმოშვა. მაგალითად, ფიფა-ს სასტიკად არ უნდოდა, რომ ცხელი საუზმეულით მოვაჭრე ადგილობრივი ფასტ ფუდები სტადიონის შემოგარენს გაჰკარებოდნენ, რახანლა გულშემამტკივარი სტადიონს შიგნით, უფრო ძვირი მაკდონალდსით უნდა გამოსკდეს, რომელიც

რაც სრულიად განსაცვიფრებელია, 380 ათასი გაუჰპატიურება.

ჰოდა, სახელმწიფოს მართლაც გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს უახლოეს ერთ თვეში, მთელი თავისი სპეცნაზებით და ამბებით. როგორც ამბობენ, დანდობა არ იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, მსოფლიო ჩემპიონატი ხომ ზეიმია და ამ შემთხვევაში ზეიმი ალბათ მხოლოდ სტადიონებზე იქნება, რაც არცთუ წარმტაცი პერსპექტივაა. 



გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

გაჭლური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

აჰაიჰი ანუ YUCK FOU



მორჩი საქმეებს? მაშინ წადი სახლში, გზად აფთიაქში შეიარე, ნებისმიერი სახის სანმენდი საშუალება იყიდე, ან თუ ეს „გეპაზორება“, მაშინ სახლში მისვლისთანავე ბამბა დანამე და სახეზე გადაისვი.

კახა თოლორდავა

უკვე რამდენიმე კვირას, თავისუფალი დრო მიჩნდება თუ არა, ინტერნეტში ვერები და მინიმუმ ერთი საათი მაინც ჯოუტად „ვგუგლავ“ სიტყვების კომბინაციას, სადაც, რა კომბინაციაც არ უნდა ვცადო, – „ბენზინი“, „ბენზინის ხარისხი“, „გამონაბოლქვი“ და „ონკოლოგია“ უცვლელად ფიგურირებს ხოლმე. მერე კი, როდესაც მოპოვებულ ინფორმაციას ვეცნობი (მე ინტერნეტის მოხმარების მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს და კარგად ვიცი, სად და როგორ ვეძებო სანდო ინფორმაცია), ფანჯარასთან მივდივარ და ეზოში ვიყურები, სერიოზულად შემფოთებული, ძალიან სერიოზულად შემფოთებული. ამ დროს თავში სულ ერთი და იგივე აზრი მიტრიალებს, – გაცნობიერებული გვაქვს თუ არა ჩვენ ყველას, არა ზედაპირულად, ისე, ჩვენ რომ გვჩვევია, არამედ სრული პასუხისმგებლობით და სერიოზულობით, თუ რა ღრმად უკანალში ვიმყოფებით ყველა ერთად, ჩვენ, თბილისელები? ქალაქში ჰაერის სისუფთავეს და ამ ჰაერის ჩვენ ჯანმრთელობასთან კავშირს ვგულისხმობ. თუ ამაზე არ გიფიქრიათ, თუ ამის დრო არ გქონიათ, თუ გაინტერესებთ, შეამჩნით სიმართლეს ვლავარაკობ, თუ შეგნებულად ან შეუგნებლად ვამუქებ სურათს, აი, რას გირჩევთ – ერთ მშვენიერ დღეს ამის შესაძლებლობა თუ მოგეცათ, თუ ამის სურვილი გაგიჩნდათ, მთელი დღის განმავლობაში ფეხით გადაადგილდით ქალაქში. მათთვის, ვინც ამას ვერ ახერხებს, მოდი, აი, ამას მოვეყვები.

დილით, სახლიდან რომ გამოხვალ, მით უმეტეს თუ ადრე ხარ საქმეზე გასასვლელი, შეიძლება ვერც ვერაფერი შეამჩნიო. ამ დროს თბილისი ილიციებს, მეფობები უკვე ქალაქს არიან მოდებული, ქუჩები ირწყვება, მანქანები ცოტაა, გარემოვაჭრეები თავთავიანთ იმპროვიზირებულ დახლებზე აწყობენ საქონელს ან მალაზიების მძიმე ფარდულებს ხსნიან. მოკლედ, ყველაფერი ნესრიგშია, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. პირველი საგანგაშო „ნიშანი“ შეიძლება იმ მომენტში იგრძნო, როდესაც, ვთქვათ, ქუჩაზე გადასვლისას მანქანა ჩაგვივლის. სუნი! მძიმე! არაბუნებრივად აგრესიული! ეს შეიძლება იგრძნო, ან შეიძლება არა; იმაზე დამოკიდებული, რამდენად ყურადღეის მქონე ცხვირი გექვს. დრო გარბის. უკვე თორმეტი საათია. შენ საქმის გარკვეული ნაწილი გააკეთე და ისევ ქუჩაში გამოდიხარ, ვთქვათ ჭავჭავაძის გამზირზე. ამ დროს ცხვირი თუ არ გლალატობს, უკვე უნდა იგრძნო ის, რაც მე ასე მაშინებს – ჰაერში ავარდნილი, ყველა ნესტოს, ხორხს და ფილტვს მოდებული უხარისხო სანავის უხარისხო გამონაბოლქვი. კიდევ ერთი საათიც და ამ სუნს უკვე ვერსად გაურბიხარ, ვერსად ემალები. ძალაუნებურად ტოკიოში ნილაბაფარებული ადამიანები გახსენდება და შურით აყოლებ თვალს ცხვირზე ოპერაცია გაკეთებულ ნილბიან ქალებს



და მათაც, ვინც ღორის გრიპს ერიდება. სახლში ვერ ბრუნდები, საქმეები გაქვს. რა თქმა უნდა, რამდენიმე წუთით შეიძლება რომელიმე მალაზიას შეაფარო თავი, ბოთლი წყალი იყიდო და საყლაპავს მოდებული ბენზინარევი სიმშრალე ჩანმინდო, მაგრამ მერე ხომ ისევ ქუჩას უნდა დაუბრუნდე? იქ კი მანქანების რაოდენობა მატულობს და ბენზინის სუნად ქცეული, წლების განმავლობაში არ და ვერგათავალისწინებული გულგრილობა ახალი ძალით გიტევს. ნურც შეეცდები, გაექცე ამ სუნს. ოთხი-ხუთი საათისათვის შენ უკვე სერიოზულად ინტოქსირებული დაიარები აქეთ-იქით და ერთადერთი, რასაც ახერხებ, პერიოდულად ბინძური ჰაერის ძლიერ ნაკადად ცხვირიდან „ამოგდებაა“, აი ისევ, ძალები რომ აკეთებენ, ქუჩაში სუნსულის დროს ნესტოებში რალაც საეჭვო რომ უვარდებათ ხოლმე. უკვე საღამოს ექვსი საათია? მორჩი საქმეებს? მაშინ წადი სახლში, გზად აფთიაქში შეიარე, ნებისმიერი სახის სანმენდი საშუალება იყიდე, ან თუ ეს „გეპაზორება“, მაშინ სახლში მისვლისთანავე ბამბა დანამე და სახეზე გადაისვი. რას ხედავ? ხედავ ბამბის გამაგებულ ზედაპირს? აბა კიდევ ერთხელ გადაიტარე სახეზე ახლად დანამული ბამბა. რას ხედავ? რწმუნდები, რომ პირველმა ცდამ მთლიანად ვერ ჩამოგამორა ის ჭუჭყი, რაც ქალაქმა „აგკიდა“? მერე კი აი, რას გირჩევ: აიღე ბამბის ორივე ბურთულა, დაჯექი მაგიდასთან, დაიწყე ეს ბურთულები ცხვირში და დაიწყე ფიქრი. დიდხანს, ძალიან დიდხანს იფიქრე, შეეცადე, საკუთარი თავი არ მოატყუო, მერე კი ძალიან გთხოვ, მიდი კომპიუტერთან და გამომიგზავნე წერილი და მითხარი, რა დასკვნამდე მიხვედი, აი, ამ მისამართზე: tirdv@yahoo.com. მინდა, დავრწმუნდე, რომ მე ერთადერთი იდიოტი არ ვარ ამ ქალაქში.



რადიო „საქსონო“ გეგავიჯებათ კლუბში „საქსონო“

- ტრადიციული ქართული საზარკულო
- სოცხალი მუსიკა




მსოფლიო ყოვსიყვ

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან

მიშელ უელბეკი
პლატფორმა

სულაკაური
გამომცემლობა



მიშელ უელბეკი დაიბადა საფრანგეთში 1958 წელს. ის ყველაზე სკანდალური თანამედროვე მწერალია. ამბობენ, რომ მან თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურას ახალი ხმა, ახალი ტონალობა შესძინა. რამდენიმე ერთმანეთზე სკანდალური რომანის ავტორი 2002 წელს პარიზის მეჩეთის წინამძღოლმა და ისლამურმა საზოგადოებებმა ისლამოფობიასა და რასიზმში დაადანაშაულეს. მართალია, ბრალდებები არ დაუმტკიცდა, მაგრამ მიშელ უელბეკი მას შემდეგ ესპანეთში ცხოვრობს.

ფასი 16.90

„პლატფორმა“ მიშელ უელბეკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანია. თანამედროვე ევროპა — ადამიანის მარტოობა, ცხოვრების აბსურდულობა, კულტურის კომერციალიზაცია, სექსი და ტერორიზმი, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, დღესდღეობით ყველაზე მტკივნეული ამ თემების გამოა „პლატფორმა“ უდავოდ საინტერესო, ღრმა და ამავე დროს სკანდალურიც.



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge